

სიკომ ბუქარაული

# ახალი წესით

(თანამედროვე სოფლის ხურათი).

ის იყო ჩამავალი მზე უკანასკნელად ავირ-  
ებდა საგაზაფხულო მწვანე ფარჩაში მორთულ  
სოფელს და ეფარებოდა მთებს, რომ ეცნა-  
ნა დაბრუნდა დალილ-დაქანცული გიგა,  
ზარი მიაყუდა საბძელთან და ჩამოჯდა დერე-  
ფანში, ქვაზე და გასძახა ახალგაზრდა ცოლს:

— თებრო!

გამოვიდა მომღიმარე თებრო, დამკლავებუ-  
ლი და ხილაბანდ წაკრული. ცეცხლისაგან  
ლოყები დაბრაწოდა, მაყვალავით თვალები  
წიანათა საყვარელ ქმარს.

— მოხვედი გენაცვალე?

— ჰოოდრე. რამე გექნება, თებრო, თორემ  
პარაქეთი გამომელია შიმშილისაგან.

— ლობიო მოგხარაზე დღეს. ქოთანს ბუხარ-  
ში დგას. ეხლავე პურს ამოგყარი თონიდან,  
ზოსტნიდან მწვანისაც გადმოვიტან და...

— კარგი, მე მანამდის ხელპირს დავებან.

— აი წყალი.

გაუწოდა სურა.

— არა, აი მივალ წყაროზე. სხვა პატარა  
გშაქი როგორაა?

— სძინავს, ენაცვალს დედაი.

— და აკვანი გარედ გამოიტანა.

— ატა-ატა, შე ცეცქო.

ახადა პირს გიგამ და დაუწყა აღერსი  
შოშივალ შრომის შვილს, რომელსაც ის იყო  
გამოეღვიდა და მართო ტირილი.

— ალუ! ალუ! აღერსით ეფებნებოდა თებ-  
რო, რომელიც ძუძუს მოსაწოვებლად მიუჯდა  
ბავშვს. ბავშვი, რა დაიკმაყოფილა სურვილი,  
დაიწყო ლულუნი და გამოაჩინა ორი პატარა  
ტიქო, შემდეგ კი მოუსვენრობა დაიწყო არ-  
ტახებში.

დღემ გაუნთავისუფლა ხელები, მანაც ანო-  
ყო პატარა თათები და აკვანზე ამბულ მი-  
გებს დაუწყო თამაში. ხან დღის შესცინებდა,  
ხან მამას და მოუსვენრობდა.

ახალგაზრდა ცოლქმარნი ნეტარებით შეჰყუ-  
რტდნენ თავის პარკში და გახოუტქმელ სი-  
ხაოუოს ეძლეოდნენ.

ბინდმა მოატანა.

მინდვრით დაბრუნებული ნახირი შემოი-  
ფანტა სოფელში ბლავილით და იწყა დენა  
თავთავიანთ მოსვლისკენ, მდიანად დაფერ-  
დილებმა; ქალიდან უკვე მოისმოდა ღორ-ხბოს  
ლიანცელი, დინგ-გასვრილი ღორები გამალე-  
ბული მორბოდნენ შინისკენ, დრუტუნით.

სოფლის მოუსვენარი გოგო-ბიჭები ზოგი  
ქვებს ესროდა, ზოგი სახრეს უღერებდა და  
იციოდნენ.

წყაროზე მომავალი გიგა რომ დაინახეს  
წყლის რიგში, კოკებით, ნერვის ქვეშ მჯდარი  
სოფლის მეჭორე დედაკაცები, რომლებიც მო-  
რიგ ქორებს უამბობდნენ ერთმანეთს—გაჩუმ-  
დნენ და ზოგმა პირიც კი აიხვია თავშლის  
წვერით.

— ქაა, იცი თინა, რომ ჩენი საყდრის გა-  
დაკეთება უნდათ სკოლათ?

— მერე და არ იცი ვისი საქმეცაა?

— ვისი?

— ვისი და ტეტუანთ გიგასი.

— აი ისიც.

— სუ! გაჩუმდი.

— ეგ ხომ ცოციალისტ-ბალშენიკია და.

— ჰა, არაფერი გამოგიგონიათ ჯერა?

მისვლისთანავე შეეხუმრა გიგა.

— იი, ქაა! აბა რა უნდა გამოგიგონოთ? მა-  
გრამა, ყმაწვილო, მართალია, რომაო, ჩენი,  
საყდარი თრიატათ უნდა გადააკეთონო?

— მართალია, მაგრამ თრიატათ კი არა და  
სკოლათ კი, ან კლუბათ.

— უი დამიდგეს თვალი! მერე და სად უნ-  
და ვილოცოთ? ან ხატი არ გვინდა, ან ნა-  
თლობა, ან ჯვრისწყარა?

— მე ვერაფერი გამიგია მედაქვამა ღმერ-  
თმა, რა ვიცო, — ჩერია ლაპარაკში მოხუცი  
ესტატე, რომელმაც კამეჩები მორეკა წყლის  
დასაღვენივებლად — როგორ იქნება კაცო! ესაო  
ღვედელი არ გვინდაო, ესაო ეკლესია და ხა-  
ტებიო, ესაო ღმერთი არააო და ვინ იცის  
კიდევ რას არ ამბობენ. ჯვრისწყარა, და ეხლა

ეგა ძველი რეჯიმის დროისაოო, ყმაწვილები  
ი „ზაქია“ თუ რაღაცა იქ უნდა მოინათლო-  
სო, მკედრები უღვედლოთ უნდა დაინარხოსო.  
და აბა რა არ გინდა რომ არ თქვან. ე ჩენი  
სოფლის ჯეელობა და ყველა „ყოციმოლო-  
სობს“...

— შვილი ვადამირებს ესტატე, შვილი. —  
ალაპარაკა აქამდის ჩემად მდგომი ნაერი-  
ზანთ ელისაბედა, რომელმაც ისე გულამო-  
სკენით დაიწყო წუწუნი, თითქოს მართლად ც-  
დიდი უბედურება დასტებოდეს თავს — აღარ  
მიჯერის არაფერს, იმასთან ალაპარაკური გამ-  
დის. იმ დღეს კვირაბაღზე, სანთელი დავანთე  
და აიქით გადასიროლა! ეს ყველაფერი სისუ-  
ლელა, სიბნელის ნაყოფია, რომელიც მებ-  
მულეებმა, ღვედებმა და ყველა იმგვარებმა  
გამოიგონეს გლეხიკაცის და მუშის დასანაჯრა-  
ვადო. აღდგომის მეორე დღეს იყო და ღვე-  
ლი სახლში არ შემოუშვა, რომ გაენათლა  
ოთახი — წაიღი შე წვერებ ცახცარავ, თორემ  
ზედ შემოვალეჯავ მა ანაფორასაო. თვალი  
ველარ გამოიხვივა გარედ მამა ლაპარეს სირ-  
ცხელით.

— ოი იმისი ქირიმე, იმისი! ძან კარგა  
მოქცეულა — წამოძახა განრებულმა გიგამ —  
მამ როგორ გვონიათ?! მორჩა! რაც ძველად  
გვატყუილეს ყყოფათ, ჩენა ნისიაზე გვგზავნი-  
დენ საიქიოს, გვაშინებდენ რაღაც ღმერთით  
ჯოჯოხებით და სამოთხის სახვლით და თი-  
თონ — კი აქა ძღვეოდნენ, ნაღდათ.

განსმა გულიანი სიცილი ესტატესი და რა-  
მოდენიმე ახალგაზრდისა, რომელნიც ეკლესი-  
ის ვალაფანში მიდიოდნენ ლხინის გასამართა-  
ვად და ამ სიტყვებს წამოესწყინენ.

— აბა ერთი მითხაროთ, თუ კი ყველაფერ-  
ში მოგწონთ ე ჩენი მუშორ-გლეხური მოავ-  
რობაი, რომელმაც ასეთი თავისუფლება მოგ-  
ცათ, მოგაშორათ ყველა ჩარჩი და ვაქარი,  
ყველა არამზადა — უბადნიკი, ტარშინა; ე  
ტანცია ვაგეკეთა, გზები გამოიყვანა, კოპე-  
რაცია დაგვიარსა, თავად-ანაფორებს ჩამოარ-









ლოდ, გთხოვთ, ჩვენ შორის დარჩეს ეს. ხომ  
ოცით, სხვებიც მომხარობენ...

მარიმ გულუბრყვილოდ დედაც კი დაიფიცა,  
რომ ამას შესახებ მის ენიდან ერთი სიტყვაც  
კი არ წამოცდებდა, და ეხლა კი ისე მალლო-  
ბელაა, ისე, ისე, რომ მეტი არ შეიძლება.  
უფროსმა დააწერა თხოვნას „მიეცესო“ და  
მარის გაუწოდა, მარიმ გამოართვა იგი, დაუ-  
კრა თავი უფროსს და გამობრუნდა წამოსა-  
ხველვად. უკვე კარებთან იყო, როდესაც  
უფროსმა მოაძახა:

— მოითმინეთ, ცოტა!.. მეც მაქვს თქვენ-  
თან სათხოვარი... აი ეს უნდა დამიბეჭდოთ  
თორმეტ საათისთვის. დღეს მოხსენება მაქვს  
და ჩემთვის აუცილებლად საჭიროა. ხომ შე-  
გიძლიანთ მომისწროთ?..

მარიმ ქალაღებებს დახედა და გაიცინა. სულ  
ჩალაც ორი უფროსი იყო დასაბეჭდი, თორ-  
მეტამდის კი ორ საათზე მეტი დრო იქნებო-  
და.—ამას ნახევარ საათშიც მოვისწრებთ, გა-  
ლაიხარბარა მან, აილო უფროსები, ერთი კი-  
დეგ შენათა თვალები უფროსს და კარების-  
კენ წამოვიდა. გრძობდა, რომ უფროსის თვა-  
ლები მას არ შორდებოდნენ. გამოვიდა ოთახი-  
დან და სწრაფად აირბინა კიბეზე. გამარჯვება  
სრული იყო.

ამ დღის შემდეგ მარი ხშირი სტუმარი შე-  
იქნა უფროსის კაბინეტის. სათხოვარი მუდამ  
ქონდა, და არც უფროსს ელეოდა საბეჭდავი.  
ხშირად, რამოდენიმე საათით მთლად გა-  
დაიხალხლებდა ხოლმე ქალს თავის მანქანით  
კაბინეტში. ეს იმას ნიშნავდა, რომ საიდუმლო  
რამეები იყო საბეჭდი. ზევით კი, განყოფი-  
ლებაში უმანქანოდ ისხდნენ. იფურთხებოდა  
გამგე სიბრაზისაგან, მაგრამ რას გააწყობდა.

ანის შემდეგ, მარი მაგრად გრძობდა თავს,  
და არავითარი შეკვეცა აღარ აფიქრებდა.  
შტატიც შეკვეცა მართლაც მოხდა. შეკვეცილ-  
თა შორის იყო ის რემინგტონისტიკაც, რო-  
მელსაც უნდა დაეკავებია მარის აღვლილი, თუ,  
თუ მარი დათხოვნილი იქნებოდა.

მეზუხედავად ასეთ ნოგომარეობისა, მარის  
განწყობილება თანამომუშავეებთან სრულებით  
არ შეცვლილა, და ეს უფრო მეგობრად ხდი-  
და მას ყველასათვის.

— უფროსებთან დაახლოება კარგია, წა-  
მოცდა ერთხელ მარის თამარასთან გულითად  
საუბარში, მაგრამ წერილი თანამშრომლებიც  
გამოსადევარი არიან ხანდისხან.

თამარას ეს ნათქვანი ცოტა არ იყოს არ  
ნოწონა, მარიმ მაშინვე შენიშნა ეს, და მო-  
ხერხებულად გამოასწორა შემდეგ საუბარში  
უკაბედი შეცდომა.

(გაგრძელება იქნება).

ა. ოღიშვილი.

ს ა მ შ ი რ ი

კიდევ ერთხელ.  
დღესაც ისე—  
როგორც გუშინ  
მძლავრად დაჰკარ.  
დაჰკარ კვერთხი.  
დაჰკარ მაგრად,  
რომ სამყაროს  
ყალბს,  
გაბერილს  
მიწის ცოდვით—  
ჩამოეხსნას ნილაზები,  
ლამის რიდე.

რკინის კუნთი,  
რკინის ნება.  
ძარღვიანი  
მკლავ მაგარი იყავ მარად.  
საქმე ჩქარი.  
საქმე სწრაფი.  
სიტყვა ცხელი.  
სიტყვა მძიმე,  
სიტყვა მკრელი,  
ყუმბარებათ გადავარდეს—  
რომ კოშმარი:  
ტანჯვის მეფე—  
მზის სხივებით, გადაშენდეს,  
გადაგვარდეს.

ამხანაგო!  
წინ ამ გზებით.  
სიმღერებით,  
ბრძოლით,  
ცეცხლით,  
გადახაზე  
ველი,  
მთები,  
სივრცე შორი  
უდაბური  
გაუფალი!  
მეგობარო  
ამ ბილიკებს გაყვე მალა.

გაყვე ზევით.  
სწრაფად,  
ჩქარა.  
ძირს ქვეყანა  
მლაშე,  
მყრალი,  
ქანგიანი,  
მტვერიანი.  
ხმალ-აქნევით  
გადაკაფე  
გზებზე ჩირვი და ეკალი.  
მაშ ისწრაფე —  
სულ ისწრაფე:  
ბრძოლის ეინით—  
ბრძოლის ცეცხლად...  
შორს სიმზღალე  
სულის დაღლა!

ჩვენ არ ვიცით შესვენება,  
ჩვენ არ გვიყვარს სინანული

არ ვგრძობთ არსად გზაზე.  
არც ცრემლები ვიცით არსად—  
არც ერთ მებრძოლ მეგობარზე.  
სულ მივიღტვით,  
სულ ვაბრუნებთ  
ბედის ბორბლებს.  
შუბლს მეხივით  
სეტყვავს—  
ბურღავს შრომის ოფლი.

ბრძოლა.  
მხოლოდ ბრძოლა.  
გამარჯვება—  
განახლება ან სიკვდილი.  
უკვდავია ეს დევნი:  
სიმბოლოა ყველა მათთვის—  
ვისთვის სული მყომარის  
მიუტია  
მკვარტილანი ქარხნის კედლებს.  
და თქვენც—  
და თქვენც შრომის შეიღონო!  
მომხარჯეთ ეს დევნი:  
მტკიცე, სრული.  
დღეს, როდესაც  
ძველ ქვეყნისთვის  
დადგა ჟამი შურის ვების,  
გქონდეს მარად მტკიცე რწმენა—  
ნება მძაფრი ქარიშხლის.  
თქვენ:  
მომავლის ბედის მქედლებს.

თქვენ თუ არა—  
მაშ ვინ დასდვას აქ საზღვარი?  
ძველ ღმერთების სულთათანა?  
ვინ ასწყვიტოს ყოფნის ზღვაზე  
გემი—  
გემზე იალქანი?  
ურაგანის შმაგ ტალოებზე—  
ჩვენ ვამბობდით:  
გუშინ—  
დღესაც ვიმეორებთ:  
ვანგრეთ.  
ვანგრეთ—  
ძველ ცხოვრების  
უხეშს  
ტლანქს  
და  
დამპალ ტახტებს,  
მის კანონებს.  
ქვეყანაზე ახალ ყოფნის  
მოსაწყობათ  
ვადგენთ გვემებს!  
ყვილაფერი.  
ყოველივე ჩვენს გარშემო  
არის,  
სუფიეს  
და იქნება—  
შეეწიროს მუშის საქმს:  
მის სამეუფოს—  
წმინდა შრომას.

დ ხარტიზმილი.

# ცნობები ალექსანდრე და დიმიტრი ყაზბეგის შესახებ

დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მის. ზანდუქელის კრიტიკულმა გამოკვლევამ: „ალ. ყაზბეგის ორიგინალობა და დიმიტრი ყაზბეგი“, რომელიც წიგნად იქნა ამ მიმდინარე 1924 წელს გამოცემული.

მიხეილ ზანდუქელი შეეცადა იმის დამტკიცებას, რომ ალ. ყაზბეგის სახელით გამოქვეყნებული ნაწერებიდან უმთავრესი უნდა ეკუთვნოდეს დიმიტრი (მიტკა) ნიკოლოზის ძე ყაზბეგს. ამის დასამტკიცებლად მას მოჰყავს მრავალი მოსაზრებები და ცნობები.

დიდი ხანია რაც ალ. ყაზბეგის სახელით გამოქვეყნებული წიგნების შესახებ ორ აზრს მიეცა ადგილი, მაგრამ საბოლოოდ ეს საკითხი ჯერაც არ არის გამორკვეული და გადაჭრილი.

ვალდებულად გრაცხ თავს მკითხველ საზოგადოებას და მკვლევართ მიეწოდო ჩემგან ამ კითხვის შესახებ შეკრებილი და გაგებულ ცნობებს, დიმიტრისა და ალექსანდრე ყაზბეგის კარგად მცნობ მოხვედრითა შორის და თან გავაცნო ის პირობები, რომელიც ყაზბეგთან გაბატონებას მოჰყავს ხევში...

მამ დავიწყეთ. ალ. ყაზბეგის წიგნები მხოლოდ 1898 წელს, შემოდგომაზე ტფილისში ჩამოსვლის შემდეგ, ჩამივარდა ხელთ; ამ დრომდე არც რა ვიცოდი მათ შესახებ. დიდის ხალისით გადავიკითხე, რადგან, როგორც მოქმედი ტიპები, ისე მოთხრობილი ამბავი და სამოქმედო ადგილ-მდებარეობა ჩემთვის არ იყო უცხო და წვრილმალნიც-კი არ მრჩებოდა გაუგებარი... დიდის სიყვარულითა და პატივისცემით ვახსენებდი ხოლმე მათს ავტორს, ალ. ყაზბეგს, რომელსაც მე პირადად ვერ ვიცნობდი...

მოვიწინდებ მე მისი ნახვა-გაცნობა, მაგრამ, ამწუხაროდ, ის, იმ დროს უკვე მიმეღ იყო ავად—იწვა სულით ავადმყოფთა თავშესაფარში, ნდომა ვერ შეეძარს... ის იმავე 1898 წელს, დეკემბერში გარდაიცვალა. მისი ცხედარი დიდძალმა ხალხმა, სამხედრო გზით მიასვენა ვერის ხეივლებამდე, წარმოითქვა მრავალი სიტყვები და ლექსები. საქართველოს ყველა კუთხიდან იყვნენ წარმომადგენლები სიტყვებითა და გვირგვინებით... ყოველი სიტყვა და ლექსი აქებ-ადიდებდა მას და ცხარე ცრემლით დასტიროდნენ მის ზღვროდ დაკარგვის. აქვე იყიდებოდა ალექსანდრე ყაზბეგის დიდი სურათი. ყველა ამის მნახველს კიდევ უფრო შემიყვარდა „ელგუჯას“ „მამის მკვლელისა“, „ხევის ბერი გონასი“ და სხ. ავტორი. ცხედარი წაასვენეს ხევში, სოფელ სტეფანწმინდას, დაასაფლავეს ეკლესიის გალავანში...

\*) იმ ინტერესის გამო, რომელსაც იწვევს საზოგადოებაში ალ. ყაზბეგის ავტორობის საკითხი, ჩვენ ვთავაზობთ მოქ. დ. ხართიშვილის მიერ შეკრებილ ცნობებს მისი სრული პასუხისმგებლობით, რ ე დ.



დიმიტრი ყაზბეგის

ამ დროს ჩემთან იყო ლევან შადური. ვიყიდე ალ. ყაზბეგის სურათი და გაუდრეით გზას დალონებულნი... ამის შემდეგაც ხშირად ვიგონებდით ხოლმე მას მე და ლევან შადური და მასთან მიტკასაც ახსენებდა ხოლმე ლევანი, მაგრამ, სამწუხაროდ, აღარ მახსოვს, ნამდვილად თუ როგორ იხსენიებდა ხოლმე ის მაშინ მიტკას... 1894 წელს, საზაფხულო არდადეგებზე სოფლად გადავედი ხევს, მშობლებთან. მოუყვიე მაშინვე, გიორგის, ალ. ყაზბეგის გამოსვენებისა და ნაწერების შესახებ... წაუკითხე „ელგუჯა“.

როცა ის ადგილი წავიკითხე, სადაც სწერია—ელგუჯამ რომ თოვლი ესროლა გავი ჩოფიკაშვილს, რომელიც ამის შემდეგ ცხენიანად ხრამში გადაიჩეხა,—მამა ჩემმა შემაჩერა: „ვერე კი არ იყო, როგორც მაგ წიგნში ჩაუწერია, აი ეს იყო“ და მომიყვა: გავიც ყაზბეგთან იყო, მეტის მეტად თავაშვებულად იქცეოდა; საშინლად აწუხებდა ხევის მკვიდრთ, ამტუტებული იყო მისგან მთელი თემობა... (განსაკუთრებით მას შემდეგ გვაწუხებდნენ ყაზბეგისგან—ჩაყვია ლაპარაკში ბებია ჩემი, —როცა ჩვენს სოფელს მოაკლდნენ ისეთი

მფარველი კაცები, როგორც შიოლაი, ფითაი და ჯაყინი)—მართალია, რომ გავი ცხენმა კლდეზე გადაჩეხა, მაგრამ ელგუჯას ტყვია აქ არაფერ შუაშა და ისე მოუხერხებია რაღა სანდროს. ერთხელ, ამ ხსენებულმა გავიმ, ჩვეულებრივად, ჩვენი სოფლის ჯოგში, ნარჩევი, უნაგირის ცხენი დააჭერინა თავის მხლებლებს, თავისი ცხენი საბალახოდ ჩვენი სოფლის ჯოგში გაუშოთ ქვენამთისა და ვალაღებულ ცხენზე მჯდომმა ქვენამთიდან გულდამაყარს მიმავალ გზაზე \*), ბურსაქირის მოსახვევს რომ მიაღწია, ცხენს მათარაბი შემოჰკრა, ცხენი, გზის პირად გავლბულ ლობზე გადაბტა, გავიც თან ვადიტანა და ორივე ბურსაქირის კლდეში გაჩურთულიყო... სამელოთ ჩაუშვეს კაცები და ისე ამოათრისის კლდიდან,—დააბოლავა მამაჩემმა. ამავე დღეს, ჩემ სანახავად მოვიდა მამი ჩემის პირადი მეგობარი, იქვე მეზობლად მცხოვრები იობა გოტლას ძე დუღუშური (შიოლა ლუღუშურის ახლო ნათესავი), რომელმაც შემდეგი მითხრა: „დათიყავ, შენ ამბობ, რომ სანდროს დაწერილია ეს წიგნი? სანდროსკი არა, მიტკაის დაწერილია და, რადგან მიტკამ დიდი ხანია რაც მოკვდა, სანდროს თავის სახელზე დაუბეჭდინებიაო“...

მე ეს ძალიან მეწყინა და სიტყვა შეუბრუნე: სანდროსი რომ არ იყოს, მთელი საქართველო პატივს არ სცემდა მეოთქი...

შენ ბაღლი ხარ, ვერ იცნობდი ვერც სანდროსს და ვერც მიტკასა—შემინწნა იობამ—ვერც ქალაქში ცნობიათ ისინი, იც როგორც ჩვენ აქ ვიცნობთ და ამიტომ მიტკაის მავივრად სანდროს აქებ-ადიდებენ—ო—მოკვლედ მოსურა იობამ...

ესხოვე ეთქვა ჩემთვის: საიდან იცოდა, რომ ეს წიგნი მიტკაის დაწერილია და არა სანდროსის?..

„მიტკაი, ხეგს რომ შეეფერება, ისეთი დარბაისელი კაცი იყო; იყო დიდად ნასწავლი, შრომისა და თემობის მოყვარული; მიტკამ პირველმა გახსნა ხევში სკოლა თავის სახლში; მოუყარა ახალგაზრდობას თავი, დაიბოლოვა და ქვეყნისა რამ გაავებინა...“

ის იცნობდა ჩვენი ხევისა და ჩვენ მეზობლად მცხოვრებთა (მთიელ-გულდამაყართა, ოსებისა და ქისტების) ცხოვრებას, იცოდა მათი ავკარგო... ამას შესწირა თავისი ახალგაზრდობა და დიდი განათლება. მთელს დროს წერა-კითხვას ახმარდა... მიტკაი პირველი იყო ჩვენში, რომელიც რუსის ხელმწიფის წინააღმდეგობისათვის იყო დევნილი. მიტკაის არც თუერთონ ყაზბეგისგან იხსენებდნენ, რადგან მათ არა ჰკავდა ის.

\*) მაშინ სამხედრო გზა უსასაფრთაოდ ყაზბეგთან სწოსა და გულდამაყარის ხეობით მიწმობდა. დ. მ.





„კიატიკაის დადგმას ვერ გაბედავდენო,—და-  
ასრულა იობამ...“

სეიმა ფაგისზე ფიცხელაური (ქოსელი  
სეიმა) ხვეში ცნობილი სარქალი იყო, ერთხელ  
მას წაუკითხვე „ნამწყვეთის ნამბობი“ და  
ეკითხე: „როგორ დახმარებას გიწვედათ ყაზ-  
ბეგთან სახლო მგზავრობაში და სახლოხო  
მინდერების გამოანახაში?—მიპასუხა: „თელს  
დროს გარყვნილებაში ჰლევდა, სად ეცალა  
მას ჩვენთვის? როცა საქირო იყო, ის მომეტე-  
ბულად იქ არ იყო ხლომე, და ისიც, ჩვენ ჟფ-  
რო გამოცდილება გვეჭონდა და უმისოდაც  
იოლას გამოვდიოდითო—დაამოილავე მან.“

ამ დროდან, თუმცა დაგვეკვი, მაგრამ საი-  
მისო ყურადღებას მიანიც არ ვაქცევდი, რად-  
გან თქმულებით „ხიდი ნახე, ხეს რას კით-  
ხულაზ“—ველმოდანელობდი. მიინდაინიც  
საქიროდ არ მიმანდა ამის დანამდვილებით  
გაგება... ნაწერების სრული გამოცემის შემდეგ  
წავიკითხე კარიკაშვილის შედგენილი ალ. ყაზ-  
ბეგის ბიოგრაფია და მეტის-მეტად დამაინ-  
ტერესა იქ გამოთქმულმა ორ-აზროვნობამ,  
გამახსენა შემოდ ჩემგან მოთხრობილი ცნობე-  
ბი და ხელახლა ვიდავიკითხე ნაწერები, გადა-  
ვიკითხე კრიტიკულად, არა ისე როგორც პირ-  
ველად, 1898—94 წელს.

და ჩემთვის ერთი გახდა აშკარა: რასაც მე  
უწინ ვერ მივაქციე ყურადღება და ვერც მი-  
ვაქცევდი, რადგან სათანადო მომზადება არ  
მქონდა; ის, რომ ამ ნაწერებში, თავიდან ბო-  
ლომდე, წითელი ზოლივით გატარებულია,  
წინდაწინვე მტკიცედ აღებული, სრულიად  
გარკვეული აზრი, აზრი თემობრივი ცხოვრე-  
ბა-მმართველობის ქება-დიდებასა, ხოლო ბი-  
უროკრატიული მმართველობის უარყოფისა,  
და ავტორი მთელი თავისი არსებით ჩინებუ-  
ლად უპირდაპირებს, ამ ორს, ერთობის უარ-  
წყაფს წესწყობილებას, მართვა გამგებობას,  
რითაც უღირსად მოსაწონსა ჰყოფს თემო-  
ბრივსა და უაღრესადე დასაწინ უარსაყოფელ  
ბიუროკრატულს,—და დავასკვნი, რომ ეს  
მხოლოდ მას შეეძლო, ვინც მთელი თავისი  
შეგნებთა და არსებით, თვით იყო ამ თემო-  
ბრივი აზრების მატარებელი... და არა მას,  
ვინც ამაბიბით არ იწუხებდა თავსა და მხოლოდ  
თავის განდიდებაზე ოცნებობდა, სახელისა და  
ქონების მოხვეჭას ცდილობდა, და გადაეწყ-  
ვიტე, ამ ორი ყაზბეგის ნაცნობ მოხვეჭეთა შო-  
რის, მათ შესახებ ცნობების დამატებით შეკ-  
რება—კითხვების გარკვევა...

ამისი შემთხვევაც მომეცა... 1916 წელს სა-  
სოფლო-სამეურნო აღწერის ხელმძღვ ნელდ  
ვიქენი გაგზავნილი დღეშეთის მაზრის, ქვიშე-  
თის საბოქაულოში—მთიულეთისა და ხვეს...

მომეცა საშუალება, სოფ. სტეფანწმინდას  
მენახა მიტკაისა და ხანდროს პირადი ნაცნო-  
ბი ხოლომონ ფიცხელაური (გონიანთ სოლო-  
მონი), რომელთან მე აღრეც მქონდა ნაცნო-  
ბობა (მისი შეილი გიორგი ჩემთან ერთად,  
ერთს ბინაზე ცხოვრობდა კავკაზში მოსწავ-  
ლეობის დროს) თვით მიტკაის შეილი ნიკო-  
ლოზი, მღ. ბარბალომე ლუდუშაური და იაკორ  
ლუდუშაური. ხოლო შემდეგ, 1918 წელს ჯალ-  
ნა ფიცხელაური (თოლკეეთ ჯალნაი) კავკა-  
ში ყოფნის დროს, რომელთაც მომცეს საყუ-  
რადლებო ცნობები, მაგრამ ამათ შესახებ შემ-  
დეგ წერილში...

მაძს ბარტელ.

გარსის გრივლი.

აპა ის მარტი, დაუდგარი,  
წითელ ვარსკვლავით ამოქარგული!  
გაშმაგებული ღრიალებს ქარი,  
ყველა უზნებში გააქვს გუგუნნი!  
ჩვენს ველურ ექსტაზს არ აქვს საზღვარი,  
იმღვრევა სისხლი, თვალს—ვით ელდა.  
ო, მარტში ბევრი სისხლი დაღვარეთ,  
ციხის კედლები სისხლით დასველდა.  
დღეს თითონ ქვევი, სილა და ხრეში,  
იმუქრებიან გამართონ ბრძოლა;  
რადგან აღარ სურთ მოკვნიენ ბოროლებს ქვეშ,  
ან ცხენი ისევ სტეშენდს მათ ფოლოს.  
ზამთარი იმთ სრესდა ფეხებით  
და საძაგული ქვეწარმავლი.  
დღეს ბარიკადთ ქვე და ხერგები  
აღმართულია ვით აღსაველი.  
ირივეა სისხლი და ბრწყინავს თვალნი,  
ცახცახებს ხელი ბრძოლის მწყურვალნი,—  
რომ გაგვეყვდა ჩვენ მომავლი,  
მარტში დაღვარეთ სახსლი მხურვალნი.

მაძს ბარტელ

მაქს ბარტელ გერმანელი პროლეტარული  
პოეტია. დაიბადა 1898 წ. დრეზდენის ახლოს.  
ის გამოსულია მუშათა წრებიდან და თვით გა-  
ნცდილი აქვს მუშის ბედი, რამაც მის შემო-  
ქმედებას დააჩინა წაუშლელი დალი. ომმა მა-  
სში გამოიწვია პროტესტი. რევოლუციამ მას  
მისცა ახალი ძალა. ყველა ეს მომენტები პო-  
ულოზენ გამოძახილს მის ლირიკაში.

მაქს ბარტელს აქვს სამი მთავარი თემა. პი-  
რელი—სოციალური მოტივები. აქ პოეტის  
უმთავრეს ამოცანას შეადგენს გადმოგვიტყოს  
„მუშის სული“ (ერთ მის წიგნს კიდევ აქვს  
ასეთი სათაური) მეორე—ლირიკული თემა, რომ-  
ელიც იმორჩილებს მას, ეს არის თემა—მწუ-  
ხრე მარტობისა. და მესამე თემა კი არის,  
თემა ქალისადმი სიყვარული.

ფორმის მხრივ მაქს ბარტელის შემოქმედება  
არ არის ორიგინალური; ის განიცდის ექსპრე-  
სიონისტების გავლენას, მაგრამ მაქს ბარტე-  
ლის ლექსებში არის სიმღიერე და თავისი—  
რი რიტმი, რომელიც მას ხდიან გერმან  
პროლეტარულ პოეტებს შორის ერთ პირ-  
ლთაგანად.

მე-მე-მე-მე-მე

ე ვ რ მ ვ ა ს

(სიყვალა მაზნი)


მთელი მსოფლიო დღეს შუაზე გადაიროფა  
და მუშის მკლავებს ველარ უძლებს უწმი ლაქები.  
მიდის წინ შრომა, და იხვევა უკან ევროპა:  
—„გეოგრაფია, გეოგრაფია, ესმის ხმები—დაიღუპები“...  
ახალ ქვეყნიდან მოწოდება მიდის შმაგვივით  
და ძველ სამყაროს აღარ შევლის თმენა და რიდი  
ლენინიზმიდან მზე იფრქვევა მტკიცე მაგიით  
და მსოფლიოზე იმართება ტანჯულთა ხიდი.  
გზა ხომ ერთია; გამარჯვება ახალ ვეაზე  
შრომის დარაჯი გადააფენს მსოფლიოს ფარდებს,  
დღეს მტერი მოთქვამს, აღმაღ ციხის რომ ვერ გაუძლებს  
და მუშის შანთებს, ტყვიის ფრქვევას ვერ შეუფარდებს.  
მიდის წინ შრომა ტანჯვის ცეცხლ და ოკეანეში,  
და სიხარულით გრდემლი აფრქვევს შეგების ნაკვერცხლებს,  
მუქთახორული დღეს მოისპო ჩვენნი თარეში,  
წითელი სახე აელვარებს ლითონის მერცხლებს,  
და ზარბაზნები გუგუნდნენ ელვიან ქარში  
და ცის კივილი ცის თალიდან ეშვება დაბლა.  
იზრდება შრომა და ევროპას სიკვდილის მარშით,  
მუშის ღიმილი ელანდება დამლუპველ დამბლად.  
აღმოსავლეთი ამაყია წითელ ხალათით.  
ქარხნის ღმუთილით ცახ ედნება კვამლი შეგებისა.  
ძველმა ევროპამ ჩაიღინა ჩვენთან ლალატი,  
მაგრამ სირცხვილით სიხარული მათ არ ეღირსა.  
მოგონებები უამრავი ჩვენში ტრიალებს,  
დალუპულ ძმების აჩრდილები ისევ ჩვენა ვართ...  
მათ სახელისთვის დღეს წითელი დროშა ფრიალებს,  
ხილალ მწვერვალზე არ შეგდრკებიან და ისე ავალთ...  
დღეს წინ მივდივართ აღმოსავლურ შეგება და გზნებით  
და ზარბაზნები არ შედრკება ელვიან ქარში.  
წინ ლენინიზმით გვსურს გავაყოთ ეკლიან გზებში  
ძველი ევროპა გავისვენოთ სიკვდილის მარშით.



მ. ზეზინაძე.



# ღვინეობის უფლება



საგუშაგოზე მდგომარეობის მხიარულად მიანიჭებდა ზევით ქუჩაზე. ეს სინამდვილე მოძრაობაში ჩვეულებრივი იყო მისთვის. და აბა რატომ უნდა მოქცეულიყო ასე განზრახ, როცა ქუჩაში ცოტა იყო ხალხი. საღამოს ათი საათიც კი არ იქნებოდა, მაგრამ ცივმა ქარმა, რომელსაც წვიმა მოყვებოდა, სრულიად დააცილებდა ქუჩებს.

გზა-გზა ის სინჯავდა კარებს, და მოხერხებულად ატრიალებდა თავის ჯოხს, ფხიზლად ავლებდა თვალს ყველა კუნჭულს. თავისი მალაი წარმოსადგევი ტანით პოლისმენი წარმოადგენდა საზოგადოებრივი მყუდროების და სიმშვიდის მცველის საუკეთესო მაგალითს. მხოლოდ აქა იქ მოსჩანდა სინათლე თამბაქოს ღუქანში ან სამიკიტროში, რომელიც მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდა. მაგრამ კარების უმრავლესობა ეკუთვნოდა დიდ საეპიტრო დაწესებულებებს, რომლებმაც უკვე დიდი ხანია შესწყვიტეს მუშაობა.

როცა რომელიღაც უბნის შუაგულში მივიდა, პოლისმენმა მოკლო ნიბიჯს. ქუჩის დაბნელებულ მხარეზე, რკინეულობის მალაჩის კარებთან იდგა ვიღაც სივარით. როცა პოლისმენი მიუახლოვდა უჩინობს, მან სწრაფად დაიწყო:

— ყოველივე რიგზეა, პოლისმენო!—და რომ საესებით დარწმუნებია წესიერების მცველი, დაუმატა:—მე აქ უცდი ჩემს მეგობარს. ჩვენ აქ უნდა შევხვედეთ ერთმანეთს. ასეთია ჩვენი პირობა, რომელიც დავდევით სწორედ 20 წლის წინათ. თქვენ ალბათ ცოტათი გავაოცებთ ეს,—არა? მაშ კარგი, თუ თქვენ ინებებთ ჩემს მოსმენას, მე შემოძლია ყველაფერი გაიგებოთ თქვენ და მაშინ დარწმუნდებით, რომ მე არაფერ საშიშს არ წარმოვადგენ. მრავალი წლის წინათ, აქ, სადაც ეხლა ეს საეპიტროა, იყო რესტორანი, —რესტორანი დიდი ჯოჯოხი“.

— სწორედ ხუთი წლის წინათ,—სთქვა პოლისმენმა,—ამ რესტორანიდან ქვა ქვაზე არ დაუტოვებიათ.

კარებში მდგომმა გაუჭინა წუმწუმას და მოუკიდა სივარის. სინათლეზე გამოჩნდა ფერწასული, თითქმის კვადრატული სახე, ცოცხალი თვალებით და პატარა ჭრილობით მარჯვენა წარბთან. ყელზე შალის ნაქსოვი ჰქონდა მოხვეული და მასზე მსხვილი ბრილიანტი რაღაც საოცრად მიმაგრებული.

სწორედ ოცი წლის წინათ,—წარმოსთქვა უცნობმა,—მე ვსადილობდი „დიდ ჯოჯოხი“ ჯიმი უელსთან, საუკეთესო მეგობართან და ძველანაზე ყველაზე უფრო თავდადებულ აზნაუნთან. ჩვენ თითქო ძმები ვიყავით. ვიზრდებოდით და გავიზარდეთ ნიუ-ორკში. მე ვიყავი თვრამეტი წლისა, ჯიმი კი—ოცის. მეორე დღით მე უნდა გამგზავრებულიყავ დასავლეთისკენ, სადაც ვადგეწვივდი სიმდიდრე შემეძინა. ჯიმი კი ვერავითარი საშვალბით ვერ გავიტყუე ნიუ-ორკიდან. რადგანაც ის თვლიდა, რომ ეს ქალაქი-ერთად ერთი რიგიანი

ადგილია დედამიწაზე. ჩვენ პირობა დავდევით რომ აქ უნდა შევხვედეთ ერთმანეთს სწორედ ოცი წლის შემდეგ, ამავე დღეს და ამავე საათზე. შეხვედრა უნდა მოხდეს მიუხედავად ჩვენი მდგომარეობისა და მანძილისა, რომელიც გვაშორებს ამ ადგილს. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ოცი წლის განმავლობაში, რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენ გამოვსკუდით ჩვენ ბედს და შევიძენთ სიმდიდრეს!

— ეს ძლიერ საინტერესოა!—სთქვა პოლისმენმა.—თუმცა მე ვიტყვი, რომ ეს ძლიერ დიდი დროა ორ შეხვედრას შორის. შემდეგ რა? ნუთუ ამ ხნის განმავლობაში თქვენ არაფერი გაგივიათ თქვენი მეგობრის შესახებ?

— როგორ არა! ერთმანეთისაგან დაშორების შემდეგ ჩვენ ცოტა ხნის განმავლობაში ერთმანეთს წყრილეს ვწერდით. მაგრამ ერთი-ორი წლის შემდეგ ჩვენ სრულიად დაეკარგეთ ერთმანეთი. იცი რა ჩემო მეგობარო! დასავლეთი—ეს საკმაოდ მოზრდილი ადგილია და მცდელობა ბევრს დავრბოდი—დავსერიბოდი იქ, მეგობრისათვის არც კი შეეცა! მაგრამ მე ვიტყვი, რომ თუ ჯიმი ცოცხალია, ის უსათუოდ მოვა დანიშნულ დროსა და ადგილს, რადგან, ვიმეორებ, უფრო სიმედო და კარგი ამხანაგი არ ყოფილა და არც იქნება დედამიწაზე! ო, ის ამას ვერ დაიფიქვებდა! მე აქ მოვედი რამდენიმე ათასი მილის მანძილიდან და კარგადაც მოვიქეცი, თუ რომ, რასაკვირველია, ჩემი ძველი ამხანაგიც მოვა შესახვედრათ.

ამ სიტყვებით მან ჯიმიდან ამოიღო ლამაზი საათი რომლის სახურაზე ბრწყინავდა მრავალი წვრილი ბრილიანტები.

— ათს სამი წუთი აკლია!—სთქვა მან.—სწორედ ათ საათზე ჩვენ ერთმანეთს გავშორდით რესტორანის კარებთან.

— როგორ წავიდა თქვენი საქმეები, შეიძინეთ სიმდიდრე დასავლეთში? — ჰკითხა პოლისმენმა.

— ვფიქრობ, რომ ბედს არ უნდა ვემდგუროდე! დარწმუნებული ვარ, რომ ჯიმიმ ნახევარიც კი ვერ შეძლო ამის! საქმე იმაშია, რომ ის ყველგან იმისათვის რომ მიმეღწია ახლანდელი მდგომარეობისთვის და შემეძინა ეს სიმდიდრე, მე მომიხდა ბრძოლა უღიდესი ქუჩის მქონე ხალხთან.

პოლისმენმა შეატრიალა ხელში ჯოხი, ორი ნაბიჯი გადადგა წინ.

— მე წავიდი სთქვა,—მან.

მოვიდა ცივი, წვრილი, საძაგელი წვიმა, კარი ძლიერდებოდა.

ასე ლოდინში გავიდა ოციოდე წუთი და უცებ, ქუჩის მეორე მხრიდან მისკენ გაემართა მალალი კაცი. ის პირდაპირ მიუახლოვდა უცნობს.

— ეს შენა ხარ ბობ? ცოტათი გაუბედავთ ჰკითხა მან.

— ა, ეს შენა ხარ ჯიმი უელს?—თავის მხრივ კითხა კარებში მდგომმა.

— ღმერთო ჩემო, რასაკვირველია, მე ვარ!—სთქვა ახლად მოსულმა და ორივე ხელში მაგრათ ჩასქიდა:— რასაკვირველია, ეს ბობი არის! აბა მეგობარო, შიამზე, როგორ მოგეპყრა შენ დასავლეთი? აბა, სთქვი!

— როგორ უნდა მომპყრობოდა, ძლიერ კარგად. მე მან მომცა ყველაფერი, რასაც კი მისგან მოგიტოვოდა. შენ კი ჯიმი, ძლიერ გამოცვლილხარ! მე ვერ წარმომიდგენია, რომ უცებ კიდევ ორი-სამი დღეობით გაიზრდებოდი! საკვირველია!

— ეს მართალია! მე მართლა გავიზარდე მას შემდეგ, რაც ოცი წელი შემისრულდა!

— წავიდეთ, ბობ! მე ვიცი ერთი ადგილი სადაც შეიძლება დასვენება და ძველი ამბების და თავდადასავალითა მოგონება. წავიდეთ! და ორივენი, ხელჩაკიდებულნი გაუდგნენ გზას.

კუთხეში იყო აფთიაქის მალაზია სულ გაჩირადღნებული ელექტრონის სინათლით. როცა ორივენი შევიდნენ ამ სინათლის წრეში, თითოეული მათგანი სწრაფად და ერთდროულად მობრუნდა, რომ ერთმანეთისათვის სახეში შეეხებინათ.

დასავლეთიდან მოსული უცებ გაჩერდა და ხელი გაუშვა მეზობელს.

— თქვენ რომ არა ხართ ჯიმი უელსი!— წამოიძახა მან:— მართალია, ოცი წელიწადი— დიდი ვადაა, მაგრამ არა იმდენი, რომ რომალის ცხვირი ფოლაქათ გადაეციქა!

— ზოგჯერ ხდება ისეც, რომ კარგი ადამიანი ავანაჯათ იქცევა!—უპასუხა მალაზმა კაცმა:— გაიგონეთ „აბრეშუმის ბობ“ თქვენ უკვე ათი წუთია დაპატიმრებული ითველებით. მაგრამ მანამდი, სანამ ცინემა გაგზავნიდეთ, მე უნდა გიჩვენოთ ბარათი, რომლის გადმოცემა თქვენთვის მე დამავალეს. თქვენ შეგიძლიათ წაიკითხოთ ეს ბარათი აი ამ ფანჯარასთან. ეს გამოგვგზავნათ საგუშაგოზე მდგომმა პოლისმენმა უელსმა.

ბარათი მოკლე იყო და იქ ეწერა—

„ბობ! მე დანიშნულ ადგილს ვიყავი თავის დროზე. როცა შენ მოუკიდე წუმწუმას, მე დავინახე კაცი, რომელსაც დაეტებს ჩიკაგო. ზოგსერთი მიზნების გამო მე არ მინდოდა პირდაღდათ დამეპატიმრებინე შენ და ეს არა სასიამოვნო საქმე დავავალე მეორე აგენტს სამოქალაქო ტანსაცმელში.“

ჯიმი“.





საშინელი ღრიანცელით მიგორავდნენ ტალღე-ბი, აბრამეზდნენ მას, აბრუებდნენ, ათასფეთია-ნი სიმძიმით აწვეებოდნენ მთელ მის სხეულს...

გარშემო წყალი... ყოველგან წყალი. წყალს ზევით ის ხელადგა მხოლოდ თავის ნავს და კიდევ რაღაც შავ მასს, რომელიც იკლავებოდა წითლად შეღებულ წყალში.

თევზი მოკვდა! სარგებლიანი საქმე! ერთად ერთი ვაჟის სიცოცხლე თევზის ნაცვლად.

ის კიდევ დიდხანს არ ამოვიდა წყლიდან. თითოეულ შავ საგანში თავის შვილს ხელადგა, გაეშურებოდა მისკენ, ცოტა ხნით შეისვენებდა ზურგზე მშობი და ისევ იწყებდა უმიზნო ძებნას. მას უნდოდა დარჩენა ზღვაში, დარჩენა შევილიან და ცეზარეს დიდი ბრძოლა და სჭირდა, რომ ამოეთრია ის ნავში.

— მისმინე ანტონიო, უნდა შეურიგდე იმას რაც ღმერთს სურს... ასეთია ცხოვრება... ბიჭი დაიღუპა იქ, სადაც დაიღუპნენ ჩვენი პაპები და მამები, სადაც აღრე თუ გვიან დავეღუპებით ჩვენც. ახლა კი ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმაზე, რაც არის, იმის შესახებ რომ ჩვენ ღარიბი ხალხი ვართ.

მან მოხერხებულად მოაბა ბაწარი თევზს და მიამაგრა ნავზე.

ქარმა კვლავ შესცვალა მიმართულება და ხელს უწყობდა მათ ნაპირისკენ დაბრუნებაში. მაგრამ წყლით სავსე ნავი ძლიერ მიიწედა წინ. საჭირო დარჩა წყლის ამოსხმა, ამ მძიმე მუშაობამ წაართვა მათ რამდენიმე საათი და ხელს უშლიდა ანტონიოს ეფექტურა იმაზე, რაც მოხდა. მაგრამ ცრემლები შეუჩერებლად სდიოდა მას თვალებიდან და ოფლის ბინძურ წვეთებთან ერთად ეცემოდა ზღვაში, — შეილის საფლავზე.

წყლისაგან განთავისუფლებული ნავი სწრაფად მიექანებოდა წინ. ნაპირთან მოახლოვებამ კვლავ აავსო ანტონიოს გული ტანჯვით და საშინელებით.

— რას იტყვის რუფინა? რას იტყვის რუფინა? — ანტონიო დღესაც და კანკალებდა, როგორც ყველა მაგარი, ვაკაჟებული ადამიანები, რომლებიც ოჯახის კერასთან კარგავენ მთელ თავის სწლიერ სიძლიერეს.

უცებ მოისმა ვალსის რიტმიული ჰანგები. ნაპირის ქარი ესალმებოდა ნავს და მოიტანა მზიარული და ლამაზი ჰანგების ტალღა. ნაპირზე უკრავდა მუსიკა. თვალწარმოც პალმებს შორის ათასგვარი ფერებიან წვრილებივით მომზარდნენ აბრეშუმის ქოლგები, თეთრი ქუდები და უსაქმო ხალხის თეთრი ტანსაცმელები.

იმ ადგილს, სადაც ყოველთვის იდგა მეთევზეთა ქარავანი, შეკრებილიყვედნ მეთევზეები. მაგრამ ანტონიო მთელი ხალხიდან ხელადგა მხოლოდ მაღალ, შავ თმთან, გამზბარ ქალს, რომლის კაბას უმოწყალოდ აფრიალებდა ქარი.

ისინი მივიდნენ ნაპირთან. როგორის სიხარულით ეგებებინან მათ! მთელი სოფელი შეიკრიბა უზარმაზარი თევზის სანახავათ. მეთევზეები თავისი ნაგებებიან შურით იცქირებო-

დნენ, ბავშვები კი, ტანთ გამძვრალი, ზღვაში მისცურავდნენ, რომ ხელი მოეკლათ თევზისათვის.

რუფინა, რომელიც მკვლავებით იკვლევდა ზღას ხალხში, როგორც იქნა მივიდა ქმართან, რომელიც თავაქინდროული ისმენდა მისალმებებს.

— ბავშვი სად არის? სად არის პედრო?

საბრალომ უფრო დაბლა დაჰხარა თავი, ასწია მხრები, თითქოს უნდოდა, რომ მის თვალბებს არაფერი დაენახა, ყურებს არაფერი გაეგონა.

— სად არის პედრო?

გაცეცხლებული, თითქო ეს არის გადაყლაპავს ქმარს, რუფინამ წაავლო ქმარს ხელი და უმოწყალოდ დაუწყო ნჯღრევა. უკებ მიხვდა ყველაფერს და გაისმა მისი საშინელი კივილი:

— ო, ღმერთო!.. ის მოკვდა!.. ჩემი პედრო! დაიღრა!.. დაიღრა!

— ასე მოხდა, ქალო, — ნელო, ლულულუდით, ძლიერ სთქვა ანტონიომ, — უბედურები ვართ ჩვენ ბავშვი დაიღრა. ის ახლა ბაბუასთან არის იქ, სადაც შეიძლება მეც ჩქარა ვიქნები. ის ზღვაშია, რომელიც გვეკვება ჩვენ იმ დღის მოლოდინში, როცა ჩაგველაპავს ჩვენ... რა უბედურები ვართ...

მაგრამ ცოლს არაფერი ესმოდა მისი... საშინლად იკლავებოდა ის მიწაზე და ღრიან-ლებდა, თითქო დაჭრილი ნადირი.

— ჩემო შეილო... შეილო... პედრო... შეიკრიბნენ მეზობელი და ნათესავი ქალები. მათთვის ყველაფერი ეს არ იყო ახალი: თითქმის ყველა მათგანს განცილები ჰქონდა ასეთი წუთები.

მათ ასწიეს რუფინა და შეიყვანეს სახლში. მეთევზეებმა კი ღვინით სავსე დიდი ჭიკა მიასწოდეს ანტონიოს, რომელიც ჩუმად ქვითინებდა. ამ დროს კი ცეზარე ეჩხუბებოდა მყიდველებს, რომლებმაც ყოველი მხრიდან მოიყარეს თავი, რომ ენახათ უშველებელი თევზი.

შუადღე გავიდა, ზღვაზე ნიავი ზღვის ტალღებს ათამაშებდა. დრო გამოშვებით, უფრო და უფრო მოწყვეტილი ხმით ისმოდა უბედური ქალის კივილი:

— ჩემო შეილო... შეილო.

ლამაზ, თვალწარმოც პალმებს ქვეშ კი, კვლავ, ფუსფუსებდა უსაქმო ხალხი, დადიონენ მზიარული ღვინით, მზიარულობდნენ, ერთობილდნენ, თითქოს არაფერი მომზდარა.


კვლავინდებურად ისმოდნენ ვალსის რიტმიული მომაჯარიმებული ჰანგები, აგსუბდნენ ნაპირს, იჭრებოდნენ სოფელში და უერთდებოდა ზღვის ნიავს, ზღვის ტალღების ლივლივს...

სე-სე-სე

# 26-ის კეგლი

საკითხი ინგლისის იმპერიალისტების მსხვერპლთათვის, ბაქოს 28 კომისრისათვის ძეგლის დადგმის შესახებ დღის წესრიგში დასტავიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე დღეებში. ამ მიზნით ბაქოს საბჭომ მოაწყო კონკურსების მთელი რაიონი და თავის მხრივ კონკურსში მონაწილეთათვის შემდეგი პირობები წამოაყენა:

პირველ ყოვლისა, ძეგლი უნდა წარმოადგენდეს აკლდამას. ძეგლი გამოყენებული უნდა იქნეს, როგორც შიგნიდან ისე გარედან. ძეგლს დაიდგემა თავისუფლების მოედანზე და მას უნდა ჰქონდეს რამოდენიმე ტრიბუნა, რომელიც გამოყენებული იქნება ორატორებისათვის რეკლამაციონური დღისასწავლების დროს. ძეგლი, რომელიც მოთავსებული იქნება ერთად



უბნის მანძილზე ზვიდნენ, გამოყენებული იქნება როგორც შუქურა და ან როგორც რამდღიო-სადგურის ან რადიო-ტელეფონის მოსაწყობი ადგილი და აგრეთვე ქალაქის დასა-თვლიერებლად (ძეგლი შესდგება 11 სართულიდან).

სამოლოთი ძეგლის პროექტის შედგენა დაეკისრა მხატვარ იაკულოვს, რომელმაც აგვისტოს 20 რიცხვებში ძეგლის პროექტი ჩამოტანა მოსკოვიდან და გასაცა ბაქოს საბჭოს პრეზიუმში.

ძეგლი წარმოადგენს სიბირალისებურ შენობას, რომლის სიმძლვე უდრის 26 საფენს. იქნება უმალესი შენობა არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ მთელს საბჭოთა ფედერაციაში.

შინით, ქვედა სართული მოთავსებული იქნება დღესუფლ კომისრების ნეშტი. მეორე სართულში მოთავსებული იქნება ბიბლიოთეკა სამკითხველო, მესამეში — რეგოლიუციის მუზეუმი, დანარჩენ სართულებში — კაბინეტები სამეცნიერო მუშაობისათვის და ოთახები, რომელშიც შეკრებილი იქნება ყველაფერი, რაც კი თითოეულ დიდუბულ გმირს შეეძება.

საძარკველი ძეგლს ჩაეყრება სექტემბერში, 28 ის ხსოვნის აღსანიშნავად დანიშნულ დღეს ძეგლის მასალათ გამოყენებული იქნება ბაქოს ქუჩები, მარშალთა ძეგლის აგება დაგდება 5.500.000 მ. ოკრებოთი.

სე-სე-სე







შეა ლონდონი.



# ს ე მ - ვ ა ლ მ ა



(გატმელება \*)

როდესაც ის მასალებს აგროვებდა თავის წიგნისთვის „დედაკაცი და შრომა“, მან მიიღო პირველი გაფრთხილება, პირველი მოგონება იმ ხიფათის შესახებ, რომელიც მას მოელოდა. იგი კარგად შეეგუა როგორც პირველს, ისე მეორე სამყაროს. ეს უცნაური დღეობაში, დაბოლოს, არ იყო მკვიდრი და, როდესაც იგი თავის კაბინეტში ამას კარგად ჩაუფიქრდა, მისთვის ნათელი გახდა, რომ ასეთი ცხოვრების გარემოება შეუძლებელი იყო არსებობად, ეს იყო გარდამავალი ხანა და, იგი პნედავდა, რომ მას უცქველად მოუხდებოდა ან ერთი ან მეორე სამყაროსაგან ჩამოშორება. მას ორივეში ცხოვრება არ შეეძლო. უტკეროდა რა მთელ რიგ ტოპებს, რომელნიც ამშენებდნენ წიგნის მბრუნველ შაფის ზევითა თაროს—თავის წიგნებს, დაწყებული გიმნაზიური თხზულებით და მოთავსებული „დედაკაცი და შრომის“ ტომით, მან გადასწყვიტა ამ სამყაროში დარჩენა. ბილილი ტოტის თავის საქმეს კარგად ასრულებდა, მხოლოდ იგი მეტად სახიფათო თანამოაზრეთ შეიქმნა. ბილილი ტოტს უნდა თავის არსებობა შეეწყვიტა.

ფრედრი დროშმონდის ეს შიში დაუბადა ვინმე მერი კონდონმა, ხელთათმანების მკერავთა საერთაშორისო კავშირის № 674 თავჯდომარემ. პირველად მან იგი დაინახა ჩრდილოეთ-დასავლეთის შრომის ფედერაციის წლიურ კრებაზე მაყურებელთა ქანდაკიდან. მან იგი ბილილი ტოტის თვალში დაინახა და, ამ პიროვნებაზე მან საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინა. იგი ფრედრი დროშმონდის გემოვნებისა არ იყო. მერე რა არის, რომ იგი ნარნარა ტანისა იყო, მოხდენილი და ვეფხვისავით მოქნილი, კუნაპატით შევთვალბა, რომელნიც ცეცხლს აფრქვევდნენ და შეუკავებელ სიმბიარულით ბრწყინავდნენ—სულთერ გაწყობილების მიხედვით? მას სძულდა ქალები, ესთქვით თუნდაც იმისათვის, რომ მამაკაცის დამჯდარობას ვნებებს აყენებენ. ფრედრი დროშმონდის სწამდა, რომ ადამიანი სიცოცხლის კიბეზე მალა ამოვიდა ტალახიდან, რომელშიაც ფუსფუსებდნენ დამალი და მახინჯი ორგანიზმები. მხოლოდ მას ცოტაოდენი სცხვენოდა თავისი ამ გენელოგიისა და სრულიად ამაზედ ფიქრით თავის არშეწყობას არჩევდა. ეს მას არ უშლიდა იმაში, რომ სტუდენტებისათვის ექადაგნა ევოლიუციის თეორია, რომ აერჩიათ იმ ჯურის ქალები, რომელნიც წინაპართა პირუტყვისებურ ბუნების ჩამოკლით და თავის დისციპლინით და თვითკონტროლით—ხაზს უსვამდნენ იმ უფკრულს, რომელიც არსებობდა მათსა და ბნელ დამორებულ წინაპართ შორის.

ბილილი ტოტის ამგვარი მოსაზრებანი არ აწუხებდა. მას მერი კონდონი პირველივე შეხედვით მოეწონა, იმის შემდეგ რაც მისი

თვალები დარჩა მერიზედ საკრებულოში და მან გადასწყვიტა უშეგვლად გაეგო მისი ვინაობა. შემდეგში იგი სრულიად შემთხვევით შეხვდა მას, როცა ოთხთვალა მიიყვანა პეტი მორისონისათვის. მისიონერთა ქუჩაზედ მან მოსძებნა მისი ბინა, საიდანაც ყუთი უნდა წავიღო ავეჯეულობის შესანახ საწყობში. დისახლისის ქალმა დაუძახა მას და შეიყვანა პატარა საწოლ ოთახში, რომლის მეზინდარე ის არის საავთიმყოფოში წაყვანათ. იგი დაიხარა, უშეგვლები ყუთი ცალი გვერდიდან ასწია, შეიღდა მხრებზედ და ფეხი გაშალა, მობრუნდა რა ზურგით კარებისაკენ—კარის გასაღებად ამ დროს მას ქალის ხმა შემოესმა:

— ხარო თუ არა ჩაწერილი კავშირში? — ეკითხებოდნენ მას.

— რა თქვენი საქმეა? — უპასუხა მან, — ცოტა იქით მიიწვი, გამატარეთ, მე ეხლა უნდა მოვტრიალდე.

მამწინე, მიუხედავად ბილილის უშეგვლებელ სიმაღლისა, ისეთი ძალით ჰკრეს ზელი, რომ ყუთმა გადასძლია იგი და ბილილი რახუნით მიეჯახა კედელს. იმან უკვე ლანძღვა-გინება დაიწყო, მაგრამ თავის ცხვირის წინ დაინახა მერი კონდონი—მრისხანე ანთებული თვლებით.

— რასაკვირველია, კავშირში ვარ ჩაწერილი, — წაიბურტყუნა მან, მე ვხუმრობდი.

— თქვენი ბარათი, — საქმიანად მოსთხოვა ქალმა.

— გარემოში მაქვს, მხოლოდ ეხლა მისი ამოღება არ შემიძლია. ეს ოხრად დასარჩენი ყუთი მეტად მძიმეა, წავიდეთ ოთხთვალსთან და იქ გიჩვენებთ.

— დაუშვით ყუთი, — უბრძანა ქალმა.

— ეს რათა? მე მაქვს ბარათი გეუბნებით!

— დაუშვით ყუთი მეთქი! შტრეიტერბერს მე ნებას არ მიცემ შეგხოს მთა ყუთის. გრცხვენოდეთ, მშინარავ! პატიოსან ხალხის მატყუარავ! რომ არ ეწერები კავშირში, როგორც სხვა პატიოსანი ხალხი?

მერი კონდონის სახეზე სიწითლე გაჰქრა; მას სიბრაზისაგან არაფერი ახსოვდა.

— წარმოიდგინეთ, თქვენი კორინთ: თავის კლასს ჰღალატობს. ვინ იცის როგორ მოუთმენლათ ელით მილიციაში ჩაწერას, რათა შეკავშირებულ ამხანაგებს პირველსავე გაფიცვის დროს თოფი ესროლო!.. ვინ იცის, უკვე მილიციაშიაც მსახურობთ! თქვენ იმ ჯურის... — კმარა, კმარა, ეს არაფერსა ჰვავს!

ბილიმა ბრაზუნით დაუშვა ყუთი იატაკზედ, გასწორდა წელში და ფეხაკის ფიბეში ხელი ჩაიყო.

— ვიხუმრე მეთქი. გეუბნები. აჰა, ნახეთ! — და მან გაუშვია პროფკავშირის წიგნაკი.

— კარგი, წაიდეთ, — უთხრა მერემ. შემდეგში კი ასე ნუ იხუმრებთ.

ადვილად აიტაცა უხარმზარა ყუთი მხარზედ. მისმა თვლებმა დაჰკვესა, უყურებდა რა უცნობის მივარ-მოხდენილ ფიგურას. მხოლოდ ბილს ეს არ შეუმჩნევია: მისი ყურადღება მიჰყარობილი იყო ყუთზე.

ამის შემდეგ იგი შეხვდა მერი კონდონს გაფიცვის დროს. ახლად შეკავშირებული მრეცხავები ჯერ კიდევ გამოუტყდლები იყვნენ ამ საქმეში და მერი მერი კონდონს სათხოვეს ამ საქმის მოწყობა. ფრედი დროშმონდს ძლიერ აინტერესებდა ამ გაფიცვის ბოლო და ბილილი ტოტის გაავზავნა კავშირში ჩასაწერად და საქმის გამოსაძიებლად. ბილილი მუშაობდა სამრეცხავი განყოფილებაში, ამ დილას უპირველესად ყოველისა, მამაკაცები გაიხმეს, რათა თავიანთი მაგალითით წახალისებიათ ქალები. ბილილი შემთხვევით საუთოთა განყოფილების კარებთან მოხვდა იმ დროს, როცა მერი კონდონს იქ შესვლა უნდოდა. ზედამხედველმა, მოსულმა და ზორბა კაცმა, მას გზა გადაუღობა. იგი ნებას არ მისცემს მოსამსახურეთა გადაბირების და მას გამოუწახავს სათანადო ალავს. მერი შეეცადა ძალით გამიმარალიყო კარებში, მაგრამ ზედამხედველმა თავისი უშეგვლებული თათი მხარზედ დაადო და მაგრა უშობიკა. მერემ უკან მიიხედა და ბილილი დაინახა.

— თქვენც აქა ხართ მისტურ ტოტს? — შეკვირა მან. — მომეშველეთ, მე შესვლა მინდა!

ბილილი, ნასიამოვნები, სახტათ დარჩა. ქალმა დაიმახსოვრა მისი სახელი პროფესიონალურ წიგნაკში ერთი ჩახედვით, და იმავე წამში „კანონის უფლებებზე“, ტყუილად მყვირალა ზედამხედველი კარებიდან გაქრა და მრეცხავმა ქალებმა კი მანქანები დასტოვეს. ამ ხანმოკლე და ბრწყინვალეთ დამთავრებულ გაფიცვის დროს ბილილი მერი კონდონის პატი იყო და როცა გაფიცვა გასრულდა, ის დაუბრუნდა და უნივერსიტეტს, როგორც ფრედრი დროშმონდი, რომელსაც მხოლოდ უკვირდა რით მოხიბლა ამ ქალმა ბილილი ტოტისა.

ფრედრი დროშმონდის არავითარი ხიფათი არ მოელოდა; მხოლოდ ბილილი ტოტს შეუყვარდა! ამის უარყოფა უსარგებლო იყო და სწორედ ამ გარემოებამ შეაფუტუნა ფრედრი დროშმონდი. მერე რა? ბილილი შეასრულა თავისი ამოცანა და მისი თაღლითობა ეხლუნდა მოთავებულყოფი. ეხლა მას უკვე აღარ ესაქიროებოდა ხეც ვალმა სიარული. მისი უკანასკნელი წიგნი „შრომის ტაქტიკა და სტრატეგია“ მოთავებული იყო და ხელთ საკმაო მასსა ლა ჰქონდა, რომ ეს თავები ბოლომდე შეიყვანა. ის აგრეთვე დარწმუნდა იმაში, რომ ფრედრი დროშმონდის სამშვიდობო ნათესადგურმა დაბრუნებისათვის საჭირო იყო თავის სოციალურ წრეებთან მკიდრო კავშირის დაქტრა. დროა ცოლი შეერთოს; მას კარგად ესმოდა, რომ თუ ფრედრი დროშმონდი არ შედრთავდოტოლს, ჰამში ბილილი ტოტსა უსათუოდ შეიბ

\* ი. ი. ჩორბანიძე, № 14.



თავდა, და ამას კი შევძლო გამოვიყვია ისეთი გართულება, რომ ამაზედ მას ფიქრიც კი გზინოდა. და, აი, სცენაზედ გამოჩნდება კატერინა ვან-ვორსტ. იგიც, ავრედვე, სწავლობდა უნივერსიტეტში და მისი მამა კი, უნივერსიტეტის ერთ-ერთი მდიდარი წევრი, და იმავე დროს ფილოსოფიურ ფაკულტეტის მეთაური იყო. ეს მეტად სარფიანი პარტიაა ყოველმხრივ, ფიქრობდა ფრედრი დრუმონდი ნიშნობის შემდეგ. ქალი გარეგნული შეხედულებით ცივი და თავშეკავებული არისტოკრატი იყო, ზომიერად კონსერვატორი; კატერინა ვან-ვორსტი თავის დაკავებაში ფრედრი დრუმონდს არ ზამოუფარდებოდა. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მხოლოდ ფრედრი დრუმონდს ჯერჯერობით თავის გულიდან ვერ აღმოეფხვრა თავის სულისკეთება „ვეეითა სამყაროსაკენ“, მომხიბლავ, თავისუფალ და ახილი, არაფრით შეზღუდულ ცხოვრებისაკენ—ხევის საზრეთით. რაც უფრო ახლოვდებოდა ქორწილის დღე, იგი ჰკრძობდა, რომ ნამდვილად გადაირია, მხოლოდ იგი ავრედვე ჰგონებდა, რომ კარგი იქნებოდა ერთხელ კიდევ თავისუფლად განაგრძობდა, რაიმე იონების ჩადენა და თითქოს მის ვასალიზაციას და „შრომის ტაქტიკა და სტრატეგიის“ უკანასკნელი თავი ზოგ საქირო ცნობების უქონლობის გამო, დაუთავებელი რჩებოდა.

და, აი—ფრედრი დრუმონდი ჟუანასკენად გაემგზავრა „ვეეითა“ ბილი ტოტსით, საჭირო ცნობების შესაგროვებლად და თავის ბედზედ მერი კონდონს შეხვდა. დაბრუნების შემდეგ თავის კაბინეტში უსიამოვნოდ იგონებდა ამ მომენტს, იგი არა მარტო შეხვდა მერი კონდონს მუშათა ცენტრალურ საბჭოში, არამედ ავრედვე სასაიდლოში შეპყვა და გაუმასპინძლდა მას ლოკოკინებით და როდესაც კარბთან ემშვიდობებოდა, მისი ხელები შემოეხებია ქალის სხეულს, ტურები ტურებს ჩაეკონა... და არა ერთხელ. ქალის ჟუანასკნელი სიტყვები, ნაზათ წარმოთქმული, ირანვე შეკანკალებული კილოთი, სიყვარულის შეუკავებელ ამოხერხეთ იყო: „ბილი, ჩემო სიოცხლეს!“

ამ მოგონებაზედ ფრედრი დრუმონდი შეპკრთა. მის წინაშე უფსკრული გაიშალა. ბუნებით იგი მრავალცილიანობის მოტრფილვე არ იყო და ამგვარ შესაძლებლობის აზრმა იგი შეაშფოთა და თავზარი დასცა. ყველა ამას უნდა ბოლო მოეღოს და ამის სისრულეში მოყვანა იორი გზით შეიძლება: ან უნდა ერთხელ და სამუდამოთ ბილი ტოტსი გამხდარიყო და მერი კონდონი შეერთო ცოლათ, ან და იგი მთლიანად ფრედრი დრუმონდით დაჩინდებოდა და კატერინა ვან-ვორსტი შეერთო. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ყოფა-ქცევა, მართლა რომ, საზარელია და ყოველგვარ გაკიცხვის ღირსია.

შემდეგ თვეებში სან-ფრანცისკო მუშების განუწყვეტელ კონფლიქტთა ასპარეზად კარდაიქცა, პროფესიონალურ კავშირები და მრეწველთა კავშირი ერთმანეთს ისეთი განარისხებით ეკეცნენ, რომ გეგონებოდათ მათ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა განაზრახესო.

ფრედრი დრუმონდი კი კორექტურას ასწავრებდა, კითხულობდა ლექციებს და ადგილიდან არ იძროდა. მან მთელი თავისი ყურადღება კატერინა ვან-ვორსტს მიაპყრო და ყოველ დღე ეწვოდა მის მეტ პარტიციპაციას, მითი აღტაცებას და თითქმის რომ შეუყვარდა. ქალაქის ტრამვის მოსამსახურეთა გაფიცვის დროს მის იზიდავდა „ვეეითა“, მხოლოდ არა ისე ძლიერ, როგორც ის მოელოდა; ყასბების დიდ გაფიცვას კი იგი სრულიად გულგრილად შეხვდა. ბილი ტოტსის აჩრდილი სამუდამოთ იყო დამარხული და ფრედრი დრუმონდი ახალგაზრდული აღფრთოვანებით ჩაუყვდა თავის დიდი ხნის მოფიქრებულ ბროშურას „მოგების შემცირების“ ტემაზედ.

ქორწილამდე იორი კვირა იყო დარჩენილი, როდესაც, ერთ მშვენიერ დღეს, ნასალივეს

კატერინა ვან-ვორსტმა ავტომობილით შემოიარა მისთან, რათა მას ეჩვენებია ამას წინად დაარსებული „უტოლოთა კლუბი“, რომელიც მის აინტერესებდა. იგი თავის ძმის ავტომობილით მოვიდა. კირნი-სტრიტთან ზაზარისა და კირის ქუჩებში ქმნიან კლუბს. ისინი მიაქანებდნენ ავტომობილს ზაზარის ქუჩაზედ და განზარალებული ჰქონდათ შემოხებოთ ეს მჭირელი კუთხე და კირის ქუჩაზედ გასულიყვნენ. მათ არ იცოდნენ, რა ხდებოდა კირის ქუჩაზედ და რა იყო მოსალოდნელი. თუმცა მათ იცოდნენ განხებობიდან, რომ ყასბები გაფიცულნი არიან და ზრძილს მწვევე ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ფრედრი დრუმონდი ამ წუწამ ამაზედ ძალიან ნაკლებად ჰფიქრობდა.

(დასასრული იქნება).

# მ შ მ - ქ ა ლ ა

(ზ ლ ა პ ა რ ი)

ის იყო მშვენიერი, ნაზი არსება... თვისი მიხვრა-მოსვრით მოგაგონებდა ზღაპრულ ფერისს. მისი დიმილი იყო დიმილი თვით მზისა—თბილი. საამური... ყოველ დროს სხვანაირი—ხან ცელქი, ხან გიჟი, ხან ნაზი, ალერსიანი, ხან სასტიკი, შეუფარებელი...

ის იყო ზღვასავით არაჩვეულებრივი. ხან, ბავშვი, ხან ბრძენი... მისი ღმერთი იყო მზე!... და სახელიც შესაფერა ერქვა მას... მზე-ქალა...

ეს სახელი მას დაარქვეს იმიტომ, რომ ის დაიბადა მზის სხივებთან ერთად გაზაფხულის დილას... მთოთავდა და სტიროდა, თუ იყო წვიმიანი დღე...

მას ისე უყვარდა მზე, რომ გათენებისას დგებოდა, რომ მზის ამოსვლა არ გამოჰპარვოდა. აღტაცებული დარბოდა და თავის მზიარული სიმღერით აღვიძებდა მინდორს... ჩიტებს... მზეც თითქოს გრძობდა თავის თავყვანის-მცემლის მოახლოებას, მედიდურად ამოდიოდა და თითქოს ალერსის ნიშნად უმრავლეს სხივებს მას უგზავნიდა.

მზე-ქალა მის ალერსით დამთვრალი, ხელებ გაწვდენილი მისკენ, დიმილით მიესალმებოდა ხოლმე მას.

მთლად გაბეველი მზის სხივებში, ის გულის ცემით ჟურთღებოდა მზეს... თითქოს უნდოდა მასში გამდნარიყო...

დამშვიდებულად მზის მოსვლით, ის პეპელასავით მოკვრიხავდა სახლისაკენ. მისი სიმღერა მთელი დღე მუშაობის აკომპანიმენტად ვაისმოდა...

მუშაობის დროს მზე-ქალა ხშირად მიხედავდა მზეს და დიმილით ღიღინებდა: „ჩემო მზეო, ჩემო მშვენიერო!...“

ჩემო დიდებულო, ჩემო ღამისო!... და ალერსის სიტყვებს არ ჰქონდა ბოლო...

და თუ მზე არ იყო... მზე-ქალა, დაღონებული, ავადმყოფს ემსგავსებოდა.

არც მღეროდა, არც იღიმებოდა... იჯდა

თვალზე-დახუჭული... ზანტი... ნელი... ცივი... შერძინობი...

საქმეს ძალდატანებით აკეთებდა, ღონე მიხდილი... იგი იძროდა ღანდგილი... ჩემოდ... და ცხოვრებაში განვლილი მწარე წუთები ყველა მამინ ავანდებოდა...

გარეშენიცი კი, თითქოს გრძობდნენ მზე-ქალას დარსს, ჯვარს ექცეოდნენ ფრთხილად და აღარ ექახდნენ მზიარულად:

„მზე-ქალავ! მზე-ქალავ!“...

ყველას უყვარდა იგი, მის დაღონებასაც პარტიციპაციით ეპყრობოდნენ... წყნარად... ფრთხილად...

გახდა მზე-ქალა თვარმეტე წლისა. გარეშენი და სახლში მყოფთა მის გათხოვებას გაიძახოდნენ. ის კი ყურს არ უგდებდა და მზის ერთგული არ ფიქრობდა მის ლალატს...

ერთს საღამოს მზის ჩასვლის შემდეგ გაიმართა ლხინი... ტაშით... დაირიო...

ქალები, ვაჭვები თავის თამაშით, ცმკით უერთდებოდნენ ამ ნაშრობას.

ის იყო სიმღერა ცხოვრებისა... მზე-ქალა, დაბნეილი მთელი დღის მზის ალერსით, შეერთებოდა ამ ლხინს.

ბოლოს ცეკვით დაქანცულმა მან ღიღინით გასწია სახლისაკენ დასაძინებლად... ისე იყო გართული თავის ფიქრებში, რომ ვერ შეამჩნია როგორ ფეხ-და-ფეხ მოსდევდა ლხინიდან ერთი ვაჟი...

სახლთან უკვე ახლოს იყო, როდესაც ვილა-ცამ ხელი სტაცა და დაიჭირა...

შეშინებული მზე-ქალა მოტრიალდა და თან შეპყვილა... „რეზო! რეზო!... რას სჩადიხარ, სულელიო!“

— მზე-ქალავ!... მიყვარხარ! შენი მონა ვარ!... გულის სიღრმიდან ამოიყენესა რეზომ... უფრო მაგარდ მოხვდა ხელი და ცდილობდა ტურებში ჩაკონებოდა...

მზე-ქალა გახდა სასტიკი... შეუწყნარებელი... გამოუსხლტა ხელიდან და ზოლით უსქპროდა მას...

„მე შენ მძულხარ!... მე ვინც შემიყვარდებ, ის უნდა ჰგავდეს მზეს! მენ თვალუბიდან“

უნდა იფრქვეოდეს სხივები... სიყვარულის სხივები!

„იგი უნდა მზესავით დაუსრულებელი იყოს... მუღაბი... იგი უნდა მზესავით უხვი და კეთილი იყოს!“

— მზე-ქალაქი მზეზე ძალიან შეგვიყვარდები... მხოლოდ მენდე... დამიჯერე... ეფიციენტობა რეზო.

„არა... არა...“ დაცქერდა მზე-ქალა რეზოს. „შენ მზეს არა გეცხარა! შენი თვალები მართალს ამბობენ, ენა კი სტყუის!.. შენ მზეცი ხარ!“

სიტყვა მზე-ქალამ და გაჰქარა ღამის წყველიდან...

რეზო, ბრავ-მორეული და მართლაც მზეცი, კბილების ღრუნილი, გამოჟღერდა ქალს...

მზე-ქალა უკვე სახლში იყო... რეზო დაბრუნდა...

მის თავში ათასნაირი ზრახვანი ირეოდნენ... მას დიდი ხანია მოსწონდა მზე-ქალა... მოსწონდა თავისებურად—ცხოველურად...

ისე დაუფიქრებლად, უხეზად მიუღდა მზე-ქალას, რომ უკანასკნელს რეზოს დახახვაც კი ეჯავებოდა.

რეზო ბეგრის მოსწონდა... წარმოსადევნი... მშვენიერი... სიცოცხლით საესე...

თვალზე ანთებული, ის არ ვაატარებდა არც ერთ ღამეს გოგონას, რომ არ დაემორჩილებინა...

უნდოდა მზე-ქალასაც ასე მოქცეოდა, მაგრამ...

მთელი ღამე ღვიძობდა: — როგორ?! მე, რეზო, რომელსაც არა ერთი ქალის გული დაუბრუნებია მე, არ მოვწონვარ მზე-ქალას?! არა!!! ეს უეჭოდებელია!.. მე უნდა ვაგხდე მისი მზე... და თუ არა, სხვა მზესაც დაუბრუნებ!

ასე ვადასწყვეტა რეზომ... რასაც იგი იტყოდა, უსათუოდ სისრულეში უნდა მოეყვანა...

ასეთი იყო რეზო... მან ეშმაკობა იზმარა. თითქოს აღარ ახსოვდა ის საღამო და მზე-ქალას ყურადღებებს არ აქცევდა...

მზე-ქალა დიდხანს ვერიდებოდად რეზოს... ბოლოს რომ დაინახა მისი გულგრილობა, დამწვიდა... დაიწყა თავისებურად დროს—ტარება...

რეზოსაც სწორედ ეს უნდოდა!.. ერთს დილას, როდესაც მზე-ქალა მშვენიერი, ნახი, ნარინარი ღიმილით იდგა და მზის სხივებში ბანაობდა, უცხად...

„რა მოხდა?! სად მიჰყვინანეს? ვინ არის?!“ როცა გამოერკვა, დაინახა ცხენი... „წელზედ იგრინო ვილაცის მძლავრი მკლავები... მიიხედა...“

„აჰ, რეზო...“ საზარლად მიაკვირა მზე-ქალამ და ღონე-მიხილი, გულმწუხურებული გადაესვენა რეზოს მკლავზე...

თვალი აახილა... რა მოხდა?! სად იყო?! უცხო ოთახი...

მსწრაფლ ზეზე წამოვიარა... მის წინ დაჩოქილი იდგა რეზო, რომელიც ალტაცებით შესცქეროდა მას...

მაშინ მიხვდა ყველაფერს მზე-ქალა. გიჟივით მივიარა კარებს, მაგრამ ამოდ... იმედ-მიხილი, ცრემლიანი ზიზლით უყურებდა რეზოს და ეუბნებოდა:

„გამიშვი, მტარვალის!.. მე, სულ ერთია, ვერ შეგიყვარები... შენ მზეს არ გეცხარა!“

რეზომ ჩაიციხა და უპასუხა: — ეხლა შენ ჩემი ხარ და მზის ოდნავ სხივსაც კი არ გაივინებ...

შენი მზე უნდა ვიყო მხოლოდ მე!!! ასე მეყოლები, სანამ შენ სულელურ გრძნობას მზისადმი არ აღმოიფხვრი გულიდან და მე არ დავისადგურებ იქ!..

მზე-ქალამ შეაშინა, რომ ისინი იყვნენ ოთახში, რომელსაც არც ერთი ფანჯარა არ ჰქონდა... და მართლაც მზეს არსიდან შეეძლო ოდნავი სხივი მაინც შემოეპარებინა თავის მოთაყვანესთან.

მხოლოდ ბუხარში ხარობდა ცეცხლი, თითქოს ის თანაურგრძობდა რეზოს და მზე-ქალას მტრულად უსისინებდა...

დაღონებულ, დარწმუნებული თავის დაღუგაში, უკანასკნელად ევედრებოდა: „მზეს მაინც ნუ მომაკლავ!.. არ მინდა ცეცხლი... იგი მე ვერ გამოთბობს!“

— შენი მზე უნდა ვიყო მე!.. დასტეკა რეზომ... „არასოდეს!!! არასოდეს!!!“

კენესოდა ქალი... გაბრაზებულმა რეზომ დატოვა ქალი და ოთახიდან გავარდა...

მზე-ქალას ტანჯვას არ ჰქონდა საზღვარი... სტიროდა... კენესოდა... სტიროდა... ოხრავდა...

ბოლოს მისუსტებული, ქანც-მოწყვეტილი დაცვა და წამსვე ჩაიძინა... სიზმარში ჰხედავს მზეს!.. მის სახეზეც ღიმილი იხატება...

ალტაცებული, ხელზე-გაწვდენილი დგება და მიიშართება მზისკენ... მიდის წინ თვლებ-დაბუჭული... მისი გრძელი ხუჭუჭი თმა მკლავებს და გულმკერდს შემოხვევია მზის სხივებსავე...

მიუაზროვნად ბუხარს... ხელგებს შიგ აწყობს... სითბო იზიდავს... არ გრძნობს ცეცხლს... მას მზე ჰგონია!

საშინელებათა!!! საშინელებათა!!! მოურიდებელი ცეცხლის ალები მივირდენ უტბო სტუმარს და დაუწყეს ხელების ლოკვა...

თანდათან ალები გადავიდნენ მზე ქალას თმაზედ... ტანზე... მართო მაშინ გამოერკვა, როცა ცეცხლში უკვე იპოვნა თავის ნიდაგი და გაშმაგებით ჰკოცნიდა და ეალერსებოდა თავის მსხვერპლს...

გაიხდენ ათასფეროვანი ენები... წითელი... ყვითელი... ლურჯი... მზე-ქალას შეშინარავი კივილი არავის ესმოდა... იგი გმინავდა... კიოდა...

მზე-ქალა მთლად მოიცვა ცეცხლის ალებით... შიგ ჩაიშალა... . . . . .

მას შემდეგ ყოველ გათენებისას, მზის ამოსვლის დროს ხედავდნენ ვილაც ცხენისას, რომელსაც სახეზედ არ ჰქონდა ღიმილი...

იგი იყო გონება-შერყეული რეზო!.. იდგა... უცდიდა მზის ამოსვლას... ევედრებოდა: — მომეცი ჩემი მზე-ქალა... და რომ სურვილი არ უსრულდებოდა, უგზავნიდა ათას მუქარას და წყევლას...

მზე კი იყო ჩვეულებრივი... მშვენიერი... დიდებული... ღამაში... წყნარი... შეუღარებელი!..

# ლიტერატურა

საფრანგული.

„საზარელი წლები“. ფრანგმა მწერალმა რენე არკონმა დასწერა წიგნი „საზარელი წლები“ (1914—1917 წ.წ.) წიგნი ხატავს ომის სურათებს. წიგნი რუსულ ენაზე გადათარგმნა და უკვე გამოვიდა ლენინგრადში.

ანატოლ ფრანსის ავადმყოფობა. ცნობილი ფრანგი მწერალი ანატოლ ფრანსი სერიოზულათ გახდა ავად.



# თეატრი

რუსული.

თეატრ. ხელოვნების ინსტიტუტი. სათანადო ორგანიზების დადგენილებით დაიხსნა თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტი.

ახალი პიესა. ბ. გლაგოლინმა დასწერა ახალი პიესა „მომ“ (უ. სინკლერის რომანის მიხედვით „ასი პროცენტი“).

სტანისლავსკის დაბრუნება. დაბრუნდა უცხოეთიდან მოსკოვის სამხატვრო თეატრის ერთი ხელმძღვანელთაგანი კ. სტანისლავსკი. ჩქარა მოვიდა კაჩალოვის დაბრუნებასაც.

ახალი პიესა. დ. ჩიევესკიმ დასწერა ახალი პიესა „გოლოგოთა“. თემა—სამოქალაქო ომი.

„ტრეტი ი. ი. კ.“ ვ. ი. მიერხოლდის სახელობის თეატრში კომინტერნის მეხუთე კონგრესის დელეგატების საპატივსაცემოდ დაიდგა ი. ერენბურგის რომანის „ტრესტი ი. ი.“ ინსცენირაცია. დელეგატები ალტაცებში მოვიდნენ.

მორდკინის გამგზავრება. მოცეკვავე მორდკინი საგასტროლოდ ამერიკაში გაემგზავრა.

## ამერიკაში.

7 თეატრის დახურვა. ნიუ-იორკში მსახიობებსა და თეატრების ღირქეცის შორის უთანხმოების გამო დაიხურა 7 თეატრი.

## ინტელიცია

შექსპირის ხსოვნის აღხანიშნავად. შექსპირის სამშობლოში—სტრატფორდში მდინარე ავონზე—14 ივლისიდან 30 აგვისტომდე სდგამდნენ მის პიესებს.

რუსული ღამა. ლონდონში (კოვენგარდის თეატრში) სესონი გაიხსნება სექტემბერში რუსული საბალეტო დასის გასტროლბით.

# კინო

რ უ ს კ თ ი

„აგარაკები მუშებს“. ამ სახელწოდებით პროლეტკინომ გამოუშვა სურათი, რომელიც ხატავს მუშების ცხოვრებას ყირიმისა და კავკასიის აგარაკებზე.

შეგოლვეის ხეივანი. „ციხე და სასახლე“ სცენარის ავტორის შეგოლვეისაგან პროლეტკინომ შეიძინა ახალი სცენარები: „9 იანვარი“, „დესპოტის სიყვარული“, „დებარისტები“.

„ძველ ჩვეულებათა კლანჭებში“, პროლეტკინომ გამოუშვა ახალი რევოლუციონური სურათი „ძველ ჩვეულებათა კლანჭებში“, რომელიც ხატავს ახალგაზრდა მუშის-კომუნისტის ბრძოლას თავის ოჯახთან, რომელიც ხუცების ჯუღუნის ქვეშ იმყოფება.

„ცვირში მყოფ ინტერნაციონალს“. პროლეტკინომ ამ სახელწოდებით გამოუშვა კინო-შარკი, რომელიც ხატავს ვანდერვალდესა და სხვა სოციალისტების სოციალ-პარტიოტებათ გადაქცევას სურათს.

კინო ექსპედიცია ახალ მიწაზე. გოსკინოს ლენინგრადის განყოფილებამ კუნძულ ახალ მიწაზე გაგზავნა სპეციალური ექსპედიცია მეცნიერულ-გეოგრაფიული სურათის გადასაღებად. ძველი და ახალი მოსკოვი. პროლეტკინო მოსკოვის კომუნალური მეურნეობის ხელმძღვანელობით შეუდგა გადაღებას სურათის „ძველი და ახალი მოსკოვი“.

მთვარის დაპყრობა. გოსკინომ შეიძინა სტუდ. ჟურნალით სცენარი „მთვარის დაპყრობა მისტერ ფოქსისა და მისტერ ტროტის მიერ“. სურათი დაიდგება მიმდინარე წლის დამლევს.

გაფიცვა. რეისორი ეიზენშტეინი გოსკინოს დაეიღებოთ სდგამს სურათს „გაფიცვა“.

ჯალათები. „კინო-სევერ“ სდგამს სურათს „ჯალათები“. სცენარი ომისა და თებერვლის რევოლუციის სურათს ხატავს.

მესალინა. სეგზაკინომ შეიძინა სურათი „მესალინა“.

„პრეზიდენტი სამოსადკინი“. ინვალიდთა არტელი სდგამს (მოსკოვში) კინო-პამფლეტს „პრეზიდენტი სამოსადკინი“.

„რობინზონ კრუზოს თავგადასავალი“. კინო-სევერმა შეიძინა ამერიკული ფირმის „უნივერსალ ფილმს“ მიერ დანაზღვრული სურათი „რობინზონ კრუზოს თავგადასავალი“.

„სისხლი და სილა“. კინო-სევერმა შეიძინა სურათი „სისხლი და სილა“. სიუჟეტი აღებულია ესპანელი მწერლის ბლასკო იბანიესის რომანიდან.

„წარსულის ლანდები“. კინო-სევერი ამაზღვებს სურათს „წარსულის ლანდები“, რევოლუციონური მოძრაობის ისტორიიდან.

„უანა ნეის სიყვარული“. კინო-სევერი სდგამს სურათს „უანა ნეის სიყვარული“, ი. ერენბურგის რომანი.

სურათები აღმოსავლეთის ცხოვრებიდან. ამ რამდენიმე ხნის წინათ გოსკინომ ალტაის მთებში (ახალი) გ. გზავნა კინო ექსპედიცია, რომელ-

ლიც ადგილობრივ გადაიღებს სურათს „ცრემლების ველი“. სიუჟეტი აღებულია ლეგენდიდან დორატის ტომის ხანების მონობიდან განთავისუფლების შესახებ. დაპირისპირებულია ორი რამ: განთავისუფლება ლეგენდის მიხედვით და განთავისუფლება, რომელიც მოუტანა აღმოსავლეთის დამინებულ ხალხს ოქტომბრის რევოლუციამ.

## უცხოეთი.

ინგლისი.

კინო ვაგონები. ინგლისის ზოგიერთ სასწრაფო მატარებლებს აქვთ სპეციალური კინო-ვაგონები, სადაც სურათებს უჩვენებენ.

კინოს კრიზისი. უკანასკნელ ხანებში ფინანსური კრიზისის გამო ინგლისში დაიხურა რამდენიმე კინო-საზოგადოება.

აშკარა.

„დანტეს ჯოჯოხეთში“. კინო-საზოგადოება „ფოქს ფილმს“ ახლო ხანებში უშვებს სურათს „დანტე ჯოჯოხეთში“.

„ქებათა ქება“. ზუდერმანის რომანი „ქებათა-ქება“ ეკრანისათვის შეიძინა ამერიკულმა კინო საზოგადოებამ. რეჟისორათ მოიწვია დიმიტრი ბუზოვეცი.

გერმანია.

„ქალი ცეცხლში“. რეისორი კარლ როზე სდგამს სურათს „ქალი ცეცხლში“, რომელშიც მონაწილეობას იღებს რუსი მსახიობი გრიგოლ ხმარა.

„ულამაზესი ქალი“. რეისორი რიხარდ ეიზენგები სდგამს სურათს „ულამაზესი ქალი მსოფლიოში“, მსახიობ ქალის ლია პარის მონაწილეობით.



პატარა (წლის კინო მსახიობი ბეზა პეგო).

„ტარას ბუღბა“. კინო-საზოგადოება, რომელსაც ცნობილი ერპალივეი ხელმძღვანელობს შეუდგა გოვარდის „ტარას ბუღბა“-ს გადაღებას ეკონზე.

სანინ“ ეკრანზე. არტიზანის რომანი

„სანინ“ გადაკეთებულია ეკრანისათვის. დაიდგება სურათი ვენაში. მონაწილეობას იღებს კონრად ვეიდტი.



პატარა კინო მსახიობი ჯეკი კუგანი.

ბელგია.

ნაციონალიზმი ხელფენებაში. პოლონეთის რამდენიმე კინო-კანტორა შეთანხმდა გერმანულ სურათების ბოიკოტის შესახებ. გერმანული სურათები დიდი პოპულარობით სარგებლობენ პოლონეთში.

იტალია.

სურათების გადაღება ვევიტეში. რეისორი რიგელი ევეტეში სდგამს სურათებს „აღმოსავლეთი“ და „დღეოფუნების მეფე“.

უსახელო ქალი. იმ დღი ინტერესის გამო, რომელიც განიწვია სურათმა „უსახელო ქალი“, ამ სურათის სცენარის ავტორებმა რ. ლიზმანმა და გ. იაკობიმ დასწერეს ახალი სცენარი „უსახელო ქალი“.

დანია.

„ტოლსტოი ეკრანზე“. კოვენტინში იენისისა და იელისის განმელობაში ეკრანიდან არ მოუხსნიან ტოლსტოის „აღღვამა“.

საბერძნეთი.

„მონღოლეთის ლომი“. რეისორი ევგენი შტეინი რუს მსახიობების მოჭეუბისისა და ლისენკოს მონაწილეობით ალყირში სდგამს სურათს „მონღოლეთის ლომი“.

„ოქროს ბოიკოლი“. რუსი მსახიობი ტურკანსკი თავის ცოლთან ნ. კოვანკოსთან ერთად მონაწილეობას იღებენ სურათში „ოქროს ბოიკოლი“.

„ნაპოლეონი“. ნაპოლეონის როლს ასრულებს მოჭეუბინი. სურათი გადაღებულია ისტორიულ ადგილებზე.

„ცოცხალი ხანიშნა“. ფირმა „ალბატროს“, რუსი მსახიობების და რეჟისორების მონაწილეობით დგამს სურათს „ცოცხალი ხანიშნა“.

„ღვე მოვალევი“. ცნობილმა კინო-მსახიობმა მოჭეუბინმა დასწერა სცენარი „ღვე მოვალევი“. სურათს დასდგამს ფირმა „ალბატროს“.

# კინო-ქალაქები

კინოს სურათების გადაღება უკანასკნელ დრომდე უმეტესად ხდებოდა ატელიჟში. მაგრამ კინოს გეგანტიურ განვითარებისათვის აღარ დარჩა საკმარისი ატელიჟები. საჭირო შეიქმნა აქაც ახალი საშუალების შექმნა, რაც უძლიერეს ფორმებში გამოიხატა კინოს ქალაქების აშენებით.

## „უნივერსალ-სიტი“

პირველი ასეთი ქალაქი ააშენეს ამერიკელებმა თავიანთ კინამოტოგრაფიის ცენტრში, ლოს-ანჯელოს მახლობლად. ამ ქალაქს იწოდებდა „უნივერსალ-სიტი“, და შესდგება მრავალი ქუჩებისაგან. თვითველი ამ ქუჩათაგანი წარმოადგენს ქვეყნიერების რომელიც მხარის ნიშანდობლივ არს. არის აფრიკული, აზიური, ავსტრალიური და ევროპული-ამერიკული სხვადასხვა ტიპის ქალაქები-ქუჩები. არის ქალაქები სხვადასხვა ეპოქების და კულტურის, რომელთა ქუჩებზედაც გაშენებულია სახლები და ყოველგვარი საცხოვრებელი ადგილები, რომლებიც შეეფარდება მას (კულტურას და ეპოქას). საშუალებები და დროს ეკონომიისათვის ყველა სახლები და ქუჩები გაშენებულია ისე, რომ თითველი ქუჩა თუ მას გადავიდებთ იორი მხრით, მივიღებთ: ერთი მხრით საშუალო საუკუნის გერმანიის ქალაქის ქუჩას და მეორე მხრით ნიუ-იორკის ქუჩას უზარმაზარ შენობებით.

„უნივერსალ-სიტის“ მთავარი ქუჩა ვაკიმულია 6 კილომეტრის მანძილზე. არის განსაკუთრებული კაზარმები ჯარის-კაცებისთვის, რომლებსაც მოითხოვს მასიური სცენები, რომელთა რიცხვი ისეთ სურათში, როგორცია „ორი დროის ქვეშ“, აღწევს 11 ათას კაცს; ზოლოვითი ბაღი ყოველგვარი მხეცეებით; მანე-

ჟი, რომელშიაც მოთავსებულია რამოდენიმე ასეული ცხენი ყოველი ჯიშის, ცოდნის; ცხოველთა ეზო ნადირობისათვის; ტანთსაცმელების გრანდიოზული საწყობები; საწყობები მეტაფორიის, რეკვიზიტის და სამხედრო მოწყობილობის; ელექტრო-პარკი, რომლის ძალა აღწევს 40,000 ამპერს ათასეულ პროექტორებში. რომელიც იძლევა საშუალებას, რომ დამითაც ისეთივე მოწყობილობით იქნას გადაღებული, როგორც დღისით; არის გაშენებული სპეციალური მინდვრები, უდაბნოები, პოლიარული კუნძულები და ნატურალური წყნარი ოკეანე, რომლის ნაპირები შეჭრილ-შემოკრილია შერებებით, ნავთსადგურებით. ნატურალური მთები სხვადასხვა მხრიდან გვაძლევს სრულიად სხვადასხვა პერსპექტივებს.

ამერიკულ სინათლის ტექნიკა განსაკუთრებით მდიდარია ოპტიურ მოტყულების, გამოანგარიშებულ მექანიკის და კონსტრუქციულ გონება მახვილობის შედეგებით. კინო-წარმოებების საერთო ხასიათის მსგეღლობა ასეთ მდიდარ ტექნიკის მიუხედავად ისეთივეა, როგორც წარმოების სხვა სფეროში: შრომის მაქსიმალური დაყოფა, მთელი პროცესის სრული ტელიორიზაცია, საქმის მხატვრული მხარის გამოუკლებლივ. მთელი ამერიკულ სურათების დადგმის 80 პროცენტი ხდება ასეთ ქალაქში, რომელსაც მთელ მსოფლიოში ყოველ მხრით პირველი ადგილი უჭირავს.

კინემატოგრაფიის ამ უნივერსალურ ქალაქის აშენება-შექმნაზე მუშაობას ეწეოდა მსოფლიო არქიტექტურის საუკეთესო მუშაკები. და შეიძლება ითქვას: სწორეთ ამიტომ გამოვიდა ეს ქალაქი იმდენათ გამარჯვებული, რომ არ არის ისეთი საგანი, რომლის გადაღებაც არ შეიძლებოდა აქ.

შ. რ.—ი.

ვლადიმერ ილიჩი დიდი ფიზიკური ძალის მქონე ადამიანი იყო. სწორეთ ამით აიხსნება, რომ ის გადაურჩა ს.რ. კაპლანის მიერ გამოსროლილ ტყვიას, რომელმაც სასიკვდილო დასჭრა ის. ყველა ექიმები ერთხმად აღსატყუებენ, რომ მხოლოდ ვლადიმერ ილიჩის მძლავრ ორგანიზმს შეეძლო გადაეტანა ეს სასიკვდილო ჭრილობა.

რამდენიმე ხნის წინ, სანამ ვ. ი. ტვიჩის ორგანიზმი ცვლილებები აღმოაჩნდებოდა, ის მესაუბრა მე თავისი ჯანმრთელობის შესახებ. სჩიოდა, რომ აწუხებს უძილობა. —„თქვენ კი როგორ ხართ?“—მითხრა მან მე.—„მეც არ მძინავს მინცა და მინც კარგად, მაგრამ მე მაქვს წამალი.“

—„როგორი?“...

—„როცა უძილობა შემაწუხებს, ავარჩევ თავისუფალ კვირას და კარგათ ვავისერიხ ველოსიპედით.“

—„აი, ბედნიერი კაციც ამას ქვია. მე კი ამას ახლა ვერ შევძლებდი.“

მაგრამ რაც ყველაზე უფრო საყურადღებოა და რაც ყველაზე უფრო ყურადღები ეს ის, რომ ვლადიმერ ილიჩი დიდ მნიშვნელობას აძლევდა ფიზიკურ კულტურას, აფასებდა მას ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით (არა მარტო ფიზიკურ ვარჯიშობას). უნდა გენახათ და გაცოდებოდით,—თუ როგორ ანაწილებდა თავის მუშაობას ვ. ი., როცა ექიმებმა განუხალხურეს მას მუშაობის ვადა.

ყველაფერი მას ყურადღებით ჰქონდა გათვლისწინებული და განაწილებული. გონებრივ შრომას ცვლიდა დასვენება წმინდა ჰაერზე. სამუშაოთ მისი ტვინის მიღები ასე იყო შეცვლილი, რომ ჰიგიენის წესების ასე დავიანებით შესრულება ვერ ააცილებდა მათ საბედისწერო ავადმყოფობას.

კიდევ ერთი ფაქტი, რომელსაც ჩვენ უნდა წავებაძით: ვლადიმერ ილიჩი არა თუ თვითონ არ ეწეოდა თამბაქოს, არამედ სხვებსაც უკრძალავდა თამბაქოს მოწევის სხდომების დროს. ის სხვათაშორის იყო ინციტატორი ჩემი ავითაციისა თამბაქოს მოწევის წინააღმდეგ („თამბაქოს შხამის“ წინააღმდეგ, როგორც ის ამბობდა). სახალხო კომისართა სამტოს სხდომებზე მუდამ წმინდა ჰაერი უნდა ყოფილიყო დაცული და ვერავინ ვერ ბედავდა თამბაქოს მოწევას. იმათ, ვინც ისე იყო მიჩვეული თამბაქოს მოწევას, რომ მოთმენა არ შეეძლო, ნება ეძლეოდა მოეწია თამბაქო მხოლოდ ფეხს უკან. ილიჩი ხუმრობით თამბაქოს მწვევლთა „ფეხის ზოკოებს“ უწოდებდა.

აი, ვლადიმერ ილიჩის ეს წესი—სხდომებზე ჰაერის სიწმინდის დაცვა, თამბაქოს მოწევის აკრძალვა—უნდა შეითვისოს პირველ ყოვლისა ახალგაზრდობამ. ეს იქნება ილიჩის ერთ-ერთი მცნების ასრულება.

6. სემაშკო.

# ფიზიკური კულტურა

## ლენინი და ფიზიკური კულტურა.

აშხ. ლენინი იმდენათ დიდი პიროვნებაა, რომ კვალა და თავისი სახელმძღვანელო აზრები დაგვიტოვა ჩვენი მოღვაწეობის ყველა დარგებში.

ვლადიმერ ილიჩი არ იყო სპორტსმენი, თუმცა ის არ იყო სპორტსმენი ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, მაგრამ უყვარდა ფიზიკური ვარჯიშობის ერთი დარგი—ველოსიპედით მოგზაურობა.

როცა ვ. ი. ცხოვრობდა ჟენევაში, ჩვენ ხშირათ მივდიოდით სასეირნოთ: მას საკუთარი ველოსიპედი ჰქონდა.

ერთხელ, ასეთი მოგზაურობის დროს, ავტომობილი კინაღამ დაეჯახა ვლადიმერ ილიჩს

და მხოლოდ სიმარდემ და მოხერხებამ იხსნა ის კატასტროფისგან. უქმე დღეს ის ბრუნდებოდა ჟენევაში. მთელი გზა სავსე იყო ველოსიპედით მოგზაურებით. ვლადიმერ ილიჩი ნელა იკვლევდა გზას თავისი ველოსიპედით ამ ზღვა ხალხში. უცებ მას უკანინდან წამოეწია ავტომობილი და ეს ეს არის უნდა დაეჯახოს, რომ ვ. ი. გადმოხტა ველოსიპედისა. ასე გადაურჩა ის სიკვდილს—ავტომობილმა დაამსხვრია ველოსიპედი.

ყველა იქ მყოფი შვიცარიელები აღტაცებაში მოიყვანა ვ. ი. მოხერხებამ და მისმა გადარჩენამ. შემდეგ ვ. ი. თავისი ხელით მიიტანა ჟენევაში დამტრეფული ველოსიპედი.




# ნაკვეთი



სურათების გადაღება წყალ ქვეშ.

კაპიტანმა ჩარლზ უილიამსონმა (ამერიკა) რომდენიმე წლის წინად გამოიკონა აპარატი, რომლის საშუალებითაც შეიძლება ზღვის ფსკერის გამოკვლევა.



სურათის გადაღება წყალქვეშ

გამომგონებელის შვილები—ერნესტ უილიამსონი და ჯორჯ უილიამსონი ეხმარებოდნენ მამას აპარატის ასწავლებაში. მუშაობისა და ცდებ-

მათ დამზადდეს ახალი სპეციალური აპარატი და გაემგზავრენ დასავლეთ ინდოეთის ნაპირებისკენ, სადაც ბაგამის კუნძულებთან არის ცნობილი ზღვის ბაღები.

აქ მათ გამოახეს შესაფერი ადგილი, სადაც ზღვის ფსკერი საკმაოდ იყო განათებული მზის სხივებით. 10 დღის განმავლობაში ექსპერიმენტი არკვედა თუ როგორ პირობებში უფრო უკეთ შეიძლება ზღვის ფსკერის გადაღება.

გადაღებული იქნა სხვა და სხვა სცენები. მაგალითად, ზანგის ბავშვები გამოედევნენ ვერცხლის ფულს, რომელიც ზღვაში გადაისროლეს და წყალქვეშ დაუწყეს ერთმანეთს ჩხუბი, რომ ფულს დაუფლებოდნენ.

ამ კუნძულების ახლო სავსება ონეგარი-გეშაპები და ექსპერიმენტებში მოახერხა ორი ასეთი ონეგარი-გეშაპის შებრძოლების გადაღება (ზოგი მათგანის სიგრძე 3 საყენამდი აღწევს).

ამ სურათის გადასაღებათ ასე მოიქცენ: დიდ ანკესზე მიამარგეს ცხენის ბარძაყი და გადაისროლეს წყალში, ვეშაპმა პირი წაივლო და გადაყლაპა, მაგრამ ანკესზე მიამარგებული ბაწარი მას საშუალებას არ აძლევდა, რომ ხორცი წაეღო. ხორცმა სხვა ვეშაპების ყურადღებაც მიიქცია და ისინი შეეცადნენ „ამხანაგისათვის“ ლუკმა წაერთვათ. ვაიმართა ბრძოლა.

ყველაფერი ეს გადაღებულია სურათზე.

მაგრამ ყველაზე უფრო დიდი გმირობა, რომელიც ოდესმე ჩაუდენია კინო მხახიობს, ეს იყო ის, რაც ერნესტ უილიამსონმა ჩაიდინა. წელამდი შიშველი, ბასრი მახვილით ხელში ის გადაეშვა ზღვაში, რომელიც სავსე—იყო ვეშაპებით, რომლებიც საკბილოს დაიჭიდნენ. უილიამსონმა ჩაყვინთა 3 საყენის სიდრამზე და აქ მას შეეფეთა უზარმაზარი ონეგარი-გეშაპი. უილიამსონი მახვილით ხელში შეება ვეშაპს.



ზღვის ფსკერზე.

მის დროს ისინი დარწმუნდნენ, რომ შეიძლება კინემატოგრაფიული აპარატით ზღვის ცხოველების გადაღება.

ოპერატორს თმა ყალყზე დაუდგა შიშისაგან, მაგრამ ვანაგრძობდა ამ სურათის გადაღებას. უილიამსონმა შენიშნა, რომ უზარმაზარი

ონეგარი-გეშაპი გიგანთა მისკენ, მაგრამ განაგრძო დაშვება ქვევით და ვეშაპმა თავზე გადაუარა.

როცა უილიამსონმა ზევით ამოსვლა დაიპირა, ვეშაპი მოუბრუნდა მას. უილიამსონს უკვე



ბრძოლა წყალქვეშ.

გაუპირდა წყალქვეშ დარჩენა. ის გრძობდა, რომ მან ან უნდა მოკლას ვეშაპი, ან უკანსკეული შესვამს მას.

სწრაფად მოუბრუნდა ის ვეშაპს მახვილით ხელში და რამდენიმეჯერ ჩასცა, სანამ წყალი გარშემო სისხლისფერად შეიღებებოდა, ნახევრად გრძობა დაკარგული ამოიყვანეს ის ზევით.

## მუსიკა

ტ. უ. ს. ე. ა. ბ.

კონკურსები. განათლების სახალხო კომისარიატის კონკურსებში დაადგინა მომავალი სეზონის განმავლობაში საკავშირო მსსტაბით ჩაატაროს კონკურსი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებულ კვარტეტების მიერ საბჭოთა სახელმწიფო სტრადივიარიუსის სახელობის კვარტეტის სახელწოდების მოსაპოვებლათ.

რადიო კონკურსები. მოსკოვის ცენტრალური რადიო სადგური ახლგნს რადიოთი მუსიკის გადაცემის ცდებს. ხელსაყრელ ატმოსფერულ პირობებში შესაძლებელია მუსიკის გადაცემა 5000 ვერსის მანძილზე. „სოსოლო კონკურტის“ იდეით გატაცებული პირების ჯგუფი ენერგიულათ მეშაობს რადიოთი მუსიკის გადაცემა და მიიღები აპარატების გაუმჯობესებაზე.

კ. ვ. ს. ც. ბ. ა. ბ.

მუსიკალური დღესასწაულები ვენაში. მუსიკალური დღესასწაულება ვენაში დაწყება 15 სექტემბერს მოცარტის პიესების ციკლით: „გატაცება სერალიდან“, „ლონ-ტუნი“, „ჯადოსნური ფლეუტა“, „ფიგაროს კოწინება“, „სეთია ყველა“. 20 სექტემბერს დაიდგება გუო გოუმანსტალის „აიინის ნანკოევიები“, მეზხოვენის მუსიკით. 1 ოქტომბერს მიდის „განაწარუებული მდამიო“, მოლიერისა, რიხარდ შტრაუსის მუსიკით. 11 ოქტომბერს—სიმფონიური საღამო მიძღვნილი გუსტავ მალოის ნაწარმოებისადმი. ვარდა გერმანულ და ავსტრიულ ოპერებისა პირველად დაიდგება ფორანგ მუსიკოსის დალკროზის „ახალგაზრობისა და სიხარულის დღესასწაული“.

# მეცნიერება და ტექნიკა

სიცივის უკიდურეს საზღვართან. \*)

ახლოლოტურ ნულთან.

ტემპერატურის შესწავლის საქმეში აღაძინა ბევრათ გააფართოვა ის ბუნებრივი საზღვრები, რომელიც მას ბუნებამ დაუდგა. დედამიწაზე უდიდესი სიცივე არ აღემატება—72° (ცელსით), უდიდესი სიცივე კი—მინუს 60—70°. მაგრამ ტექნიკამ უკვე გადალახა ბუნებრივი სიცივისა და სითბოს ეს საზღვრები.

სულ რამდენიმე წლის წინათ უმაღლეს ტემპერატურათ ითვლებოდა ის, როცა დნებობდა პლატინა ე. ი. 1800° (უფრო სწორათ—1750°). ახლა უკვე მეცნიერებამ იცის მთელი რიგი ლითონები, რომლებიც დნებიან უფრო მაღალი ტემპერატურის დროს—ზოგიერთი ათასი გრადუსით უფრო მაღალი ტემპერატურის დროს. ასე მაგალითად ლითონი ირიდ დნება 2.350°-ზე. ოსმი—2700°-ზე, ტანტალი—2.700°-ზე, ვოლფრამი—3000°-ზე (უკანასკნელს ამ ლითონს ხშირობენ ე. წ. ეკონომიურ ელექტრონის ლამპებისათვის ლითონის ძაფების დასამზადებლად).

შევხვით სიცივის უკიდურეს საზღვრებს. სიცივის უდიდესი წერტილის მიღწევა უფრო ძნელს ავიტყანას წარმოადგენს, ვიდრე სითბოს უმაღლესი წერტილის მიღწევა. სიცივესა და სითბოს საზღვრებს შორის არის აგრეთვე დიდი პრინციპიალური განსხვავება, რაც იმაში გამოიხატება, რომ მაღალი ტემპერატურებისათვის თეორეტიულად არ არსებობს საზღვარი იმ დროს, როცა დაბალი ტემპერატურებისათვის არსებობს საზღვარი, რომლის გადალახვა არ შეიძლება.

საქმე იმაშია, რომ სხეულის ტემპერატურა განისაზღვრება მის შემადგენელ მოლეკულების\*\*) მოძრაობის სისწრაფით: რამდენათაც სწრაფია მოძრაობა, მით უფრო მაღალია ტემპერატურა; რამდენათ ნაკლებია სისწრაფე, იმდენად დაბალია ტემპერატურა. ის, რასაც ჩვენ სიცივეს უძახით, არის მხოლოდ სითბოს მცირე რაოდენობა, ე. ი. ისეთი მდგომარეობა, როცა მოლეკულები შედარებით ნელა მოძრაობენ. და თუ სწრაფი მოძრაობისათვის ჩვენ საზღვრები ვერ წარმოგვიდგენია,—ნელი მოძრაობისათვის ბუნებრივ საზღვარს წარმოადგენს ნულის თანაბარი სისწრაფე, ე. ი. სრული უძრაობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სიცივისათვის არის ერთგვარი საზღვარი—სახელდობრ ისეთი სიცივე, როცა მოლეკულები სრულიად არ მოძრაობენ. თეორეტიულად დამტკიცებულია, რომ ასეთი მდგომარეობა იქმნება მაშინ, როცა ტემპერატურა 273°-ით ნულზე დაბლა ეცემა. იმ წერტილს, როცა სხეულს არა აქვს არავითარი სითბო, ეწოდება აბსოლიუტური ნული (იმ ნულისგან განსხვავებით, რომლითაც თერმომეტრებზე აღინიშნავენ წყლის გაყინვის ტემპერატურას).

რამდენათ მიუახლოვდით ახლა ჩვენ სიცივის ამ საზღვარს, მოლეკულების მოძრაობის სრულ

შერეობას\*) ძლიერ ახლო, თუ მხედველობაში დარჩენილ გზას გაგზომავთ გრადუსებით, რომლებითაც ჩვენ დაზოგბული ვართ აბსოლიუტურ ნულს. ფიზიკურ ლაბორატორიებში თანდათანობით მიღწეული იქნა ისეთი დაბალი ტემპერატურები, როცა გაყინენ: სითბო (ედ ქვეული ნახშირბაყვე გაზი (57° ქლორი (102°), აზოტი (210°), მყავადი 233°), წყალბადი (256°) დაბოლოს, სულრამოდენიმე ხნის წინათ მიღწეული იქნა საშინელი სიცივე 272°), როცა დადნა თხელი გელი, ერთად ერთი სითბე, რომელიც დღემდე საშინელ წინააღმდეგობას უწევდა მისი გაყინვის ყოველგვარ ცდებს აბსოლიუტური ნულის წერტილიდან ჩვენ დაზოგბული ვართ რაღაც სამი მეოთხედი გრადუსით.

მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა რომ ამ პატარა მანძილის გადალახვა ადვილია და აბსოლიუტური ნულის მიღწევა ახლო მომავლის საქმეა. აი ცნობა, რომელიც გვიმტკიცებს თუ რა საშინელ სიძნელეს წარმოადგენს სულ უმნიშვნელო ნაბიჯიც გაზაზე აბსოლიუტური ნულსაკენ. ტემპერატურა 271 სამი მეოთხედი მიღებულ იქნა 1910 წელს აუარებელი ენერჯის დახარჯვის შემდეგ პროფ. კამერლანგ-ონესის ცნობილ ლაბორატორიაში (ლეინდენში—ჰოლანდია). და მხოლოდ ახლა 12 წლის შეუწყვეტელი და დაუღალავი შრომის შემდეგ მოახერხეს მეცნიერებმა წინ წაწევა ნახევარი გრადუსით.

ჩვენ უდიდეს შეცდომას დაუშვებდით, რომ

\*) მოლეკულები არ მოძრაობენ მხოლოდ იმ მნიშვნელობით, რომ არ იცლიან მდგომარეობის ურთიერთ მიმართ. მაგრამ ატომები, რომლებსაცაცა უსდგებიან მოლეკულები და მით უფრო ატომების შემადგენელი ელემენტონები, ასეთ პირობებშიც საერთოდ არ არიან უძრავი.

უკიდურესი სიცივის მიღწევაში მიღებული შედეგები გრადუსების რაოდენობით გაგზომით, საქმე იმაშია, რომ რამდენადაც უახლოვდებით აბსოლიუტურ ნულს, იმდენათ ძნელი ხდება იქ თითოეული უმნიშვნელო შედეგის მიღწევა. აბსოლიუტურ ნულთან 10 გრადუსით მიახლოება უფრო ძნელია, ვიდრე წყლის გაყინვის ნულიდან აბსოლიუტურ ნულისკენ 100 ან მეტი გრადუსით წინ წაწევა.

და თუ საქმეს ასე შევხედავთ, ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ დარჩენილი 3 მე 4-ლი გრადუსის დაძლევა გაცილებით ბევრათ ძნელია, ვიდრე დღემდე მიღწეული შედეგების მიღება.

ფაქტურად უს უფსკრული, რომელიც ჩვენ გვაშორებს აბსოლიუტურ წყალს, სრულიად გადაუღაბავია, რადგან თეორეტიულად შეიძლება დავამტკიცოთ, რომ აბსოლიუტური ნულის მისაღწევად აუარაცხელი ენერჯის დახარჯვაა საჭირო, ე. ი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აბსოლიუტური ნული მიუღწეველია, ჩვენ შეგვიძლია აუარაცხელი ენერჯის, უფრო და უფრო მეტი ენერჯის დახარჯვით ახლო მივიდეთ იმ წერტილთან, მაგრამ დავდომას ამ წერტილზე ჩვენ ვერასოდეს ვერ მოვახერხებთ: ჩვენ ყოველთვის მოზორებულნი ვიქნებით მისგან მცირედი, ძლიერ უმნიშვნელო ტემპერატურით—გრადუსის ერთი მეასედით, ერთი მეათასედით, ერთი მეწილიონედით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სხეულიდან მთელი სითბოს განდგენა ჩვენ არ შეგვიძლია და ვერასცდეს ვერ შევძლებთ. ისეთი სხეულის მიღება, რომელშიც მოლეკულები არ მოძრაობენ, ადამიანს არ ძალუფს. ამიტომ მით უფრო მეტი უმნიშვნელობა ეძლევა ჩვენს თვალში იმ მცირედ მიღწევას, რომელიც მეცნიერებამ მიიღო ამ უძნელეს ძიებაში და უკანასკნელი რეკორდი—მინუს 272 და 1 მე 4-ლი გრადუსი უდიდეს მეცნიერულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

## მისზე ზრუნავს მაკდონალდი.

მაკდონალდმა სთხოვა შევეს ავტომალოს უელსის პრინცს (ტახტის მემკვიდრეს) ცხენით ჯირითი და საფრთხე ააჩიღოს მის „მეირფას“ სიცოცხლეს.

(გახუთებიდან).



მაკდონალდი—უელსის პრინცს: — მე ყოველთვის გეუბნებოდით თქვენო უდიდებულესობავ, რომ ჯირითი შეიძლება მხოლოდ პროლეტარიატის ზურგზე.

გერმანულ კომუნისტურ ჟურნალ „კაიუპელ“-დან

\*) უფრო ახლიან „ხუნების ხახვლისნოში“.  
\*\*) მოლეკულები—სხეულის შემადგენელი ნაწილებია.

# ბიბლიოგრაფია

## ქუჩნალი „დინამიტი“ № 1.

ქუთაისის პათოლოგად მჭარლობის კაპიტანის თვარია ორგანი.

15 ივნისი 1924 წელი.

აშაშვიძე კავშირის განმარტების განყოფილება.

რევოლუციის და განახლების პერიოდში საქართველოში ბევრი ლიტერატურული ჟურნალი-გაზეთი გამოვიდა.

მაგრამ სულ სხვა მოვლენა იქმნა წერილის სახელი.

იქმ წინ არის „დინამიტი“ № 1.

ფორმის მხრივ: სრულ მიზანი იყო რაც შეიძლება დიდი ტირაჟი და იაფი ფასი.

აღმათ ფართე აუდიტორიის გასაცნობათ. მიზანი მიღწეულია.

შინაარსი: ქუჩნალი იწყება „წინათქმით“, მოცემულია მიზანი ქუჩნალის:

ჩაბმა ხელოვნების რთულ და სადღესასწაულო საკითხის გადაწყვეტაში ახალგაზრდობის და ამის დაკვირვით ხასიათი „ნეკ“-ის გამო.

მარქსისტული მძღვობითი შეიარაღების აუცილებლობა ხელოვნებათა პრობლემების სწორად გადასაჭრელად.

დინამიტი აფეთქება რეაქციონური ხელოვნების.

სწორი შეფასება არსებულის და მისი პერპეტუაციების.

აქვე მოდის ლექსი მ. ნიაგარის—„ნგრევის სურათებიდან“.

უბრალო სათაური ამ ლექსისა გვაძლევს წარმოდგენას საკმაო შეგნების და მომავალი ხელოვნების სერიოზულობის.

ვიტყვი მხოლოდ—სხვა შემთხვევაში ასეთ ლექსს უსათაურებდნენ: „რევოლუცია“, „პოეზია...“ და სხვა მრავალი უფრო რთული სათაურები, მაგრამ ავტორის ასეთი მოქცევა ბევრს გვახარებდა მომავალში.

შემდეგ ლექსი „პირვანდელი“ დ. რონდელის.

ლექსი შინაარსით ახალია. შეეფერებოდა უკეთესი ფორმა-ტენიკა.

„ქალაქის აჯანყება“ ლექსი კ. ლორთქიფანიძის.

მოცემულია სამოქალაქო ომი. მოქმედი პროლეტარიატი. კლასობრივი დიფერენციაცი-

ის მთელი სიმძლავრე. შეგნება ბურჟუაზიულ ყოფის ანომალიის. განახლების აუცილებლობა. შესანიშნავია ავრთვე თარგმნები სხვა და სხვა პროლეტარიატების ლექსების.

რაც უფრო საყურადღებოა ქუჩნალი—ეს არის თეორეტიული წერილები.

„მწვერვლები და უფსკრულები ხელოვნებაში“ დ. რონდელის. წერილში მოცემულია მარქსისტული გაგება ხელოვნების—რაც მთავარია.

გამართვა შემარცხენე ფორმის, პროგრამა მარქსიზმით.

ახალგაზრდა ავტორს ეტყობა ამისათვის საკმაო ერთდღეა და ოქტომბრული დახვეწა აზროვნების.

წერილი მ. ბუაჩიძის—„ხელოვნების დამოკიდებულება ადამიანის ნერვიულ გამძლეობასთან“.

დაბასათებულია თანამედროვე ტექნიკური კულტურის გასათვარი გაქანება და მისში მოქმედი ადამიანი. კაბიტალისტური დიდი ქალაქის ქუჩები და მისი გავლენა ადამიანის ფსიხიკაზე.

„ახალგაზრდა ხელოვნების საკითხში“, მ. მიღვანის.

დაბასათებულია ხელოვნების პრობლემის სიმწვავე და მოითხოვს ამ მხრივ გარკვეულ პასუხებს პროლეტარულ ახალგაზრდობისაგან, რაც სწორედ რომ სადღესასწაულო და გადაუღები საქმეა.

უქონლობა სახელოვნო პოლიტიკის.

რეაქციის საწინააღმდეგო ჩამოყალიბებულ პოლიტიკის.

„თანამედროვე რევოლუციონური ახალგაზრდობა და პოეზია“. „მ. ბ.“-სი.

დაბასათებულია პოეზიის განვითარება და სახეები სხვა და სხვა ეპოქებში და კერძო თანამედროვე საქართველოში.

ქუჩნალი იხურება ბიბლიოგრაფიით.

საერთოთ ქუჩნალი სრულიად ახალი მოვლენაა.

დატვირთულია შეგნებით, პასუხისმგებლობით პროლეტარიატის წინაშე.

ქუჩნალი სტოვეს ძლიერ შთაბეჭდილებას და იძლევა იმედებს, რომ უფრო მკაცრი, დინამიტიანი ნომრები უნდა მოყვას № 1-ლს.



# ხელოვნების მკვნიკა

ხაოპერო დახი. სახელმწიფო ოპერაში სეზონის საკითხი საბოლოოდ გადაიჭრა. კერძო ანტრეპრიზის საკითხი მოიხსნა. საქმეს კვლავ გაუძღვება სახელმწიფო აკადემიური თეატრების დირექტორი. ამ დღეებში დირექციის რწმუნებული გაემგზავრება საკავშირო მთავარ ქალაქებში დაქის შესადგენათ.

ახალი პიესები, ქართული აკადემიური დასი

მანკლისში ამზადებს და მომავალ სეზონში რუსთაველის თეატრში დაიდგება: ს. შანშიაშვილის „ლატავია“; გერმანელ ექსპრესიონისტის ფრანკ ვერდელის ტრილოგია „შიგელმენში“, თარგმანი შანშიაშვილის, ვ. მიაკოვსკის „მისტერია ბუფფ“ და სხვა.

მთავლიტაში. მთავლიტა ნება დართო შემდეგი პიესების დადგმის:

—„საიდუმლო“, 4 მოქ. პიესა აკაკი შავერისი.

—„წითელი მეზღაფური“, 2 მოქ. პიესა მამულიაშვილის.

—„სამკაული“, პიესა ლ. ქიანელის.

—„ფარაონის მქამე ცოდევა“,—შავგულიძის.

—„სულიერი მამა“, ერთმოქმედებიანი პიესა ს. ერთაშინდელის.

—„მქამე ცოლი“, სცენა ერთ მოქმედებად ფოცხერიაშვილის.

—„ხრისეს გველი“, 4 მოქ. პიესა ა. ქუთათელაძის.

მუსიკალური მუშაკები. მომავალ სამოსწავლო წლიდან ტუილისში გაიხსნება სამი მუსიკალური მუშაკი. მუშაკები გაიხსნება მუშათა უბნებში: ნაძალადეგში, აგლბარში და ერთიკ პლენხანოვის პროსპექტზე.

ახალი რევოლუციონური კინო ხურათი. სახელმწიფო კინო-მრეწველობა ამ ცამდ ამზადებს ახალ რევოლუციონურ კინო-სურათს „წინა დღით“. სცენარი დაწერილია კ. მარჯანიშვილის და შ. დადიანის მიერ.

კონსერვატორიის ახალი დირექტორი. სახელმწიფო კონსერვატორიის ახალ დირექტორად მოწვეულია პროფესორი იპოლიტოვიანოვი, ქართული მუსიკის კარგი მცოდნე.

მომავალი სეზონისათვის. ქართული აკადემიური დასი საზამპრო სეზონისათვის მანკლისში ამზადებს ახალ პიესებს. დასი ამ დღეებში ჩამოვა. საოპერო დასი ამცამდ სდგება და ისიც მალე შეუდგება მომავალ სეზონისთვის საზადისს.

ხაბაგში მოიხრობების კრებული. სექტემბრის პირველ რიცხვებში გამოვა ლ. ქიანელის, საბავშო მოთხრობათა მეორე კრებული. წიგნი დასურათებულია ვ. სიდომონ-ფრისთავის მიერ. წიგნი მოიწონა სახელმწიფო სამეცნიერო საბჭომ.

ხალხური სიმღერები. სახელოვნო კომიტეტმა დაადგინა გამოიწვიოს გურიიდან ცნობილი სახალხო მომღერლები ხალხური სიმღერების ჩასაწერად.

სახელმწიფო კონსერვატორიაში. სახელოვნო კომიტეტმა წინადადება მისცა კონსერვატორიის სიმღერების განყოფილებას დაქარეზებით წარმოადგინოს წერილობითი მოხსენება ქართული ენაზე სიმღერების სწავლების შესახებ.

დაქვის ქართველ მხახიობთა დახი. სახელოვნო კომიტეტმა დაამტკიცა ოპერის ქართველ მხახიობთა დასი, რომელიც მომავალ ზაფხულში აყვანილი იქნება სახელმწიფო ხარჯზე ქართული ოპერის რეპერტუარის მოსამზადებლად.

ტ. ურანელის წიგნი. გამოვიდა პოეტ ტერენტ გრანელის ლექსების მეორე წიგნი „Memento Mori“.

გამოცემულ წიგნებზე გამოხატვმ ნებართვების გაუქმება. მთავლიტის დადგენილებით იმ ნაწერების გამოსაცემად გაცემული ნებართვები, რომლებიც დღემდე არ არის გამოყენებული, გაუქმებულად ითვლებიან.

მუსიკალურ ნაწარმოებთა გამხანჯავი კო-

მისია. მთავლიტთან შესდგა (7 პირისაგან) კომისია, რომელსაც დაევალა გამოცემულ მუსიკალურ ნაწარმოებთა ვადანინჯვა და ახლებთა გამოსაცემად ნებართვების გაცემა.

სომხური დრამატული სტუდია. მოსკოვიდან ტფლისში ჩამოვიდა სომხური დრამატული სტუდია, რომელიც რამდენიმე წარმოდგენას დასდგამს.

სახელმწიფო კომიტეტში. განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა მოახდინოს სახელოვნო კომიტეტის რეორგანიზაცია.

„წამების ჯგარი“. გამოვიდა და იყიდება მუშა-მწერალის სიო ხიდისთაველის მოთხრობა „წამების ჯგარი“.

პროლეტკულტის თეატრი იწყოვება ავარაკზე და აწარმოებს მუშაობას მომავალი სეზონისათვის.

რეჟისორი ა. წუწუნავა ამზადებს პიესას „აჯანყება ფურიაში“. მომავალ სეზონში ეს პიესა დაიდგმება წითელ თეატრში.

ბაჩანას დახანძრებად. პოეტ ბაჩანას 18 აგვისტოს ახალ კლუბში საღამო გაუმაართეს.

„მნათობი“. ჟურნალი მნათობის მეხუთე ნომერი სექტემბერში გამოვა.

ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა სა-

ზოგადოება ქართლ-კახეთში მოგზაურობის შემდეგ დასავლეთ საქართველოში გაემგზავრა.

ა. მაშაშვილის წიგნი („მეტრები“) იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა.

კინო-სტუდია აჭარაში. აჭარაში არსდება კინო-სტუდია.

„გრიგალი“. პროლეტარულმა პოეტმა ნ. ინსარიძემ დასწერა ახალი 4 მოქმედებიანი დრამა „გრიგალი“.



### კუთხის სახალგაოფო ახალ-მიური დრამა

1924-1925 წ. სემინი.

დახის შემადგენლობა: ქაღნი: 1) ციმაკუ-რიძე ელენე, 2) ჩიხლაძე ნინო, 3) შარგველა-შვილი ვერა, 4) ლორთქიფანიძე პაშა, 5) ლო-ლობერიძე ოლიმპიადა, 6) ცხვედიანი-ჟაკარე-ლი ვერა, 7) ყენია ნინო, 8) ღვინიაშვილი თ., 9) ჩარკვიანი თინა, ვაჟნი: 1) გუნია ვალე-რიან, 2) ზარდალიშვილი იუზა, 3) თუთბერი-ძე გიორგი, 4) ყალაბეგიშვილი ალექსანდრე, 5) ხონელი შალვა, 6) ძნელაძე დუდე, 7) ბარ-ველი ივანე, 8) ჯაფარიძე შალვა, 9) სარაუ-

ლი მიხეილ, 10) აბაკელია ქიქიკო, 11) სე-ნიძე მიშა, 12) ბოჭორიშვილი შალვა, 13) დო-ლონაძე კაპიტონ (მოკარანახე), 14) გელეიშვი-ლი ქიქიკო (რეტ. თანაშემწე), 15) მურუსაძე ანდრო, 16) ნემო მიხეილ, 17) ადამია ვარდენ, 18) სვიმონიშვილი გრ.

რეჟისორები—გ. გუნია, ივ. ბარველი, ი. ზარდალიშვილი და ყალაბეგიშვილი.

დასის გამგე—ი. ზარდალიშვილი, თეატრის გამგე—გ. თუთბერიძე.

მთავარი მემანქანე ო. დადიანი, ელექტრო-ტექნიკი ს. ჭელიძე, პარიკმახერი ნ. ქათამაძე რევიზიტორი ა. ფეიქრიშვილი.

რემპიტშარი: „ლატავრა“—ა. შანშიაშვი-ლისა, „საფირონი“—ლ. მეტრეველისა, „ქან-დაკება“—ა. ჯაჯანაშვილისა, „უკვდავება“—ირ. ლუკაშვილისა, „სული ობოლი“—სიო ჭანტურიშვილისა, „მოსე მწერალი“—ე. ნინო-შვილისა, „პაატა ბატონიშვილი“—ლ. ნახუც-თიშვილისა, „დამზრალი წალკოტი“—გერგე-სელისა, „რიტრაი“—ე. ვერპარნისა, „მონის-სიყვარული“—გაგარინისა, „მღვიმეში“—შ. და-დიანისა, „სპარტაკი“—ალ. შანშიაშვილისა, და სხვ. სეზონი გაიხსნება ალ. შანშიაშვილის პიესით „ლატავრა“—თი.

## „კომუნისტი“

### მიიღება ხელის მოწერა საქმეგზოკრისათვის

მუშა-მოსამსახურეებისათვის, წ.-არმიელებსა და მოსწავლე ახალგაზრ-დობისათვის თბილისში და ჰროვინციაში გაგზავნით გასეთი ედირება:

1 თვით 65 კაპ. 2 თვით—1 მან. 10 კაპ. 3 თვით—1 მან. 80 კაპ. 4 თვით—2 მან. 40 კაპ.

### ყველა დანარჩენებისათვის გაგზავნით

თვილისუი		
(ბინაზე მიტანით)		
1 თვით . . . . .	85	კაპ.
2 " . . . . . 1 მან.	60	"
3 " . . . . . 2 "	40	"
წლის ბოლომდე . . . 3 "	10	"

პროვინციაუი		
(ბაზაზანით)		
1 თვით . . . . .	95	კაპ.
2 " . . . . . 1 მან.	80	"
3 " . . . . . 2 "	70	"
წლის ბოლომდე . . . 3 "	50	"

ყველა ხელისმომწერნი მიიღებენ უფასოთ „კომუნისტი“-ს ორკვირეულ სალიტერატურო სამსატერო დამატებას „ჩირაქლანს“